1997
ეროვნული ბიბლიოთეკა

1997
5-6

# საქართველოს ქალი

დღიურები, რომელიც ცეცხლმოდებულ აფხაზეთში იწერებოდა
4-5 გვ.

ა. ხომასურიძე: ჩვენთან კეთდება ყველაფერი, რაც ლონდონში, პარიზში
6-7 გვ.

ყველაფერი სოციალურ დახმარებაზე
10 გვ.

ლელა ალიბეგაშვილის გამორჩეული როლები
12-13 გვ.

პროსტიტუცია გვიტევს
16-18 გვ.

საყმაწვილო გვერდი
19 გვ.

წინაპრებმა იცოდნენ, თქვენც გამოგადგებათ
19 გვ.

პოეზია






ჟურნალი გამოიცა ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და პროგრამის „რეპროდუქტოლოგიის განვითარება საქართველოში“ დახმარებით.

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
**ნარგიზა მგელაძე**

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი)
- ნანა ოზოლაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი
- ეთერ ჯაფარიძე

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფოტოეტიუდი.

დამფუძნებელი — ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“. მ. კოსტავას ქ. № 14.

„Sakartvelos Kali“
Georgian Woman
a Magasine for Woman of the Republic of Georgia

## იუბილე

# ქველმოქმედების სათნოებასაც აღზრდა სჭირდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ქალთა რესპუბლიკურ საბჭოს — ყველაზე ხანმრავალ და ხალხმრავალ არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციას — 50 წელი შეუსრულდა.

ბევრი რამის დამტევია ეს 50 წელი. დროის და საჭიროების მიხედვით იცვლებოდა მისი ფუნქცია, მიზნები და ამოცანები. უცვლელი იყო მხოლოდ მთავარი — შემწეობა აღმოეჩინა ქალებისათვის შრომისა თუ ყოფაცხოვრების იმ სფეროში, სადაც იმ ეტაპზე ყველაზე მეტად უჭირდათ.

უკვე ნახევარი საუკუნეა ამ ორგანიზაციას უცვლელად უდგას სათავეში სახელოვანი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ნინო ჯავახიშვილი**.



**გთავაზობთ ქ-ნ ნინოს საუბარს საბჭოს შექმნის ისტორიასა და მის ადრინდელ თუ აწინდელ მუშაობაზე, და აგრეთვე, ინტერვიუს მასთან პირად საკითხებზე.**

— **ჯ**ერ კიდევ მძვინვარებდა სამამულო ომი, როცა შეიქმნა საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტი, ხოლო ომის დამთავრებისთანავე სხვადასხვა ქვეყნის ქალთა ორგანიზაციების მონაწილეობით შედგა საინიციატივო ჯგუფი, რომლის მეცადინეობით მოწვეულ იქნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ანტიფაშისტური კონგრესი და ჩამოაყალიბეს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია.

სწორედ მაშინ დაიწყო ჩემი ურთიერთობა ქალთა მოძრაობასთან.

პარიზის კონგრესიდან დაბრუნებულებმა გადავწყვიტეთ საქართველოშიც გვქონოდა ქალთა ანტიფაშისტური კომიტეტი, რომელსაც მალევე გადავარქვით სახელი, რადგან მსოფლიოს ქალების სურვილი იყო არც მუშაობაში და არც სახელწოდებაში არ ყოფილიყო პარტიულობის ელემენტი. საქართველოს ქალთა კომიტეტმა 1946 წლიდან დაიწყო მუშაობა. ცხადია, დროსთან ერთად იცვლებოდა კომიტეტის ამოცანები, მთავარი კი გახლდათ ქალთა უფლებების დაცვა, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, ბავშვთა აღზრდის პრობლემები. იმ პერიოდში დიდი ყურადღება ექცეოდა ურთიერთობას სხვა ქვეყნის ქალებთან. გაიზარდა ქალთა აქტივობის როლი ქვეყნებს შორის ურთიერთგაგებაში. ხშირი იყო დელეგაციების მოწვევა და ჩვენი საპასუხო ვიზიტები უცხოეთში.



მარცხნიდან: ნინო ჯავახიშვილი, ვალენტინა ტერეშკოვა და ნანული შევარდნაძე

მოსკოვში ჩასულ დელეგაციათა უმრავლესობა საქართველოსკენ — სტალინის სამშობლოსაკენ მოიწევდა. ჩვენ გვესტუმრა ქალთა დემოკრატიული ორგანიზაციის პირველი პრეზიდენტი ეჟენი კოტონი. მონაწილეობა მომიხდა ქალთა დემოკრატიული ფედერაციის თითქმის ყველა კონგრესის მუშაობაში: ბუდაპეშტში, კოპენჰაგენში, ბერლინში, პრაღაში.

ბევრ ქვეყანაში ვიყავი ქალთა ეროვნულ კონგრესებზე როგორც საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის წარმომადგენელი (იტალია, ალბანეთი, ეთიოპია, გერმანია, აშშ, ურუგვაი, ჩილე, გვადელუპა, რეუნიონი).

ქალთა დემოკრატიული ფედერაცია მშვიდობის დასაცავად გამართული ბევრი აქციის ინიციატორი და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთი შემქმნელი გახლდათ.

მშვიდობის დაცვის კონგრესები ქალთა აქტიური მონაწილეობით ტარდებოდა. მათზე განიხილებოდა იმ დროისათვის მეტად მტკივნეული საკითხები. ვთქვათ, ომი ვიეტნამში, ომი კორეაში. მახსოვს ერთ-ერთ კონგრესზე კოპენჰაგენში ლტოლვილმა ქალებმა ჩამოაღწიეს ვიეტნამიდან. ამან დიდი ემოციური მუხტი მისცა კონგრესის მუშაობას; საერთოდ, აშშ-ის საზოგადოებრივ აზრზე უზარმაზარი გავლენა მოახდინა ასეთმა საპროტესტო აქციებმა.

ხოლო შინ სხვა პრობლემები გვქონდა. ომმა ბევრი ოჯახი დატოვა მარჩენალის გარეშე. ოჯახის რჩენის ტვირთი ქალებს დააწვა მხრებზე. აუცილებელი გახდა სამსახურში გასული ქალების ბავშვებზე ზრუნვა. ქალთა ორგანიზაციამ მთელი გულისყური ამ საკითხებს დაუთმო. ყველგან იქმნებოდა ქალთა დასასვენებელი ოთახები, ტარდებოდა მათი პროფილაქტიკური გასინჯვა და მკურნალობა. ყველა მომუშავე დედის ბავშვები უზრუნველყოფილი იყვნენ ბაგა-ბაღებში მოვლით, კვებით. რა თქმა უნდა, ამ საკითხებზე სახელმწიფო ზრუნავდა, მაგრამ ჩვენი ყურადღება საქმეს წინ სწევდა. ამ მიმართულებით მუშაობდა პროფკავშირების ქალთა საბჭოც. 80-იან წლებში კომიტეტმა შეიცვალა სახელი და მას ქალთა საბჭო ეწოდა.

საქმე არასოდეს მოგვკლებია, მაგრამ ბოლო პერიოდში მთელ საბჭოთა კავშირში და ჩვენთანაც მოხდა კარდინალური ცვლილებები, საქართველო დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო გახდა. ახალი წყობის შექმნისა და დანერგვის გზაზე წარმოიშვა დიდი სიძნელეები. ამას დაერთო რეგიონული კონფლიქტები და ომები შიდა ქართლში, აფხაზეთში, უამრავმა ადამიანმა დაკარგა თავისი მუდმივი სამყოფელი და საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილად იქცა. ყოველივე ამან და პირველ რიგში ეკონომიურმა სიდუხჭირემ უამრავი ძნელადგადასაჭრელი პრობლემის წინაშე დაგვაყენა, რადგან ყველაზე მტკივნეულად ეს ულმობელი დრო ქალებსა და ბავშვებს შეეხო. უამრავი ლტოლვილი, უდედმამოდ დარჩენილი ბავშვი, მარტოხელა უმწეო მოხუცები, შიდა ქართლში თუ აფხაზეთში დაღუპულთა ქვრივები, ჯანდაცვის სისტემის რეფორმების გამო მკურნალობის გარეშე დარჩენილი ადამიანები, ინვალიდი ბავშვები, კრიმინოგენული ვითარების გამწვავება და კოლონიებში მოხვედრილი მოზარდები და ქალები.

აბა, რომელ ქალს დაემინება მშვიდად, როცა მის თანამემამულეებს ასე უჭირთ? არც ჩვენ გვძინავს და ვცდილობთ, უყურადღებოდ არ დაგვრჩნენ ეს გაჭირვებული ადამიანები, არ მოვაკლოთ მათ სითბო და მხარდაჭერა, მაგრამ ქალთა საბჭოს არავითარი მატერიალური ბაზა არ გააჩნია. ვარსებობთ და ვმუშაობთ კეთილი ადამიანების შემოწირულობებით. დასახმარებელი ბევრია, შესაძლებლობა — შეზღუდული. და, მიუხედავად ამისა, ხშირად მივდივართ ყველაზე მძიმე პირობებში მყოფებთან: ქალთა, ბავშვთა კოლონიებში, მიგვაქვს მათთვის წიგნები, მცირე ნობათები. მათთვის ვაწყობთ ლიტერატურულ და სხვა სახის კონკურსებს. რამდენჯერმე ვესტუმრეთ საინგილოს ქართული წიგნებით, სახელმძღვანელოებით, ინვალიდებს აღმოვუჩინეთ დახმარება და ეს ყველაფერი შემოწირულებათა ხარჯზე.

ცოტა გვიჭირს რაიონებში, რადგან სათანადოდ ჯერ კიდევ ვერ აეწყო ადგილობრივი ხელისუფლების სისტემა, რომელსაც ვთავაზობთ ქალთა აქტივის დახმარების გამოყენებას ბევრ საქმეში, რომელიც მხოლოდ ადმინისტრაციული წესებით ვერ გაკეთდება.

გულისტკივილით უნდა ვთქვა, რომ მდიდარი თანამემამულენი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჯერ ვერ ამაღლდნენ ქველმოქმედების სათნოებამდე. ალბათ ამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუღლე — საკავშირო სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი მამია კომახიძე — ადრე ჩემი მასწავლებელი იყო. 17 წლისა გავთხოვდი და 47 წელი ერთად გავატარეთ, ერთად ვეწეოდით სამეცნიერო მუშაობას. დიდი მეგობრული ოჯახი გვქონდა. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი შვილები არ გვყოლია, ჩვენს სახლში ბავშვები ყოველთვის იყვნენ. ჩემი მულის შვილები, დისშვილები, მათი შვილები. ახლაც ერთი მათგანის ოჯახთან ერთად ვცხოვრობ. ასე რომ, ბევრი შვილის და შვილიშვილის ბებია ვარ. ყველა ძალიან მიყვარს და მათგანაც დიდ სითბოს ვგრძნობ.

**— ადვილი არ არის აკადემიკოსი ქალის ტვირთი, მით უფრო, ინსტიტუტის დირექტორი ბრძანდებით და არაერთ საზოგადოებრივ დავალებას ასრულებთ. როგორ უთავსებთ ყოველივე ამას დიდი ოჯახის უფროს ქალობას?**

— მე მგონი ის მშველის, რომ დრო უაღრესად ზუსტად მაქვს გათვლილი. წუთითაც არსად ვაგვიანებ და არც სხვას ვპატიობ დაგვიანებას, დროისადმი სასხვათაშორისო დამოკიდებულებას. ჩემს გარშემო ყველა ამ პრინციპით მყავს აღზრდილი. ჩემი თანამშრომლები არამცთუ სამსახურში, ლხინშიც კი წუთის დაუგვიანებლად მოდიან. წარმოიდგინეთ, როცა სტუმრები მყავს, ვცდილობ ყველაფერი თვითონ გავაკეთო.

**— კარგი დიასახლისი ბრძანდებით?**

— რა ვიცი, არ მიწუნებენ.

**— ქ-ნო ნინო, თქვენის აზრით, რა არის ქალის ბედნიერება და თვლით თუ არა თავს ბედნიერ ქალად?**

— დიახ, ვთვლი, რადგან საყვარელ საქმეს ვემსახურები, ჩემს აღზრდილ მოწაფეებთან მიხდება მუშაობა. თავისუფალ საქართველოსაც მოვესწარი. ქალის ბედნიერებად მიმაჩნია, თუკი მის ოჯახში დიდი სიყვარული და ურთიერთგაგება სუფევს. როცა ერთნაირად გიხარია სამსახურში წასვლაც და შინ დაბრუნებაც, როცა საქმესაც სჭირდები და ადამიანებსაც. სხვაგვარ სიცოცხლეს აზრი არა აქვს.

**— ამდენი წლის შემდეგ რომელი მასწავლებლის სახელი და ღვაწლი დაგახსომდათ ყველაზე მეტად?**

— ალექსანდრე ნათიშვილი, რომლის მოწაფე გახლავართ და გრიგოლ მუხაძე. ეს ორი ერთმანეთისგან ძალიანზე განსხვავებული პიროვნება იყო მეცნიერული მედიცინის ფუძემდებლები საქართველოში და თავს ბედნიერად ვთვლი, რომ მათთან მომიხდა სწავლა და მუშაობა. მათ ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაშიც დიდი როლი ითამაშეს. იგივე მინდა ვთქვა ჩემი სკოლის დირექტორზე, მიხეილ ზანდუკელზე. 20-იან წლებში ვსწავლობდი სკოლაში. მიუხედავად იმ პერიოდის არეულობის, ნგრევის, ცვალებადობისა, ჩვენი კლასიდან ბევრი აკადემიკოსი და პროფესორი, ბევრი სახელოვანი ადამიანი გამოვიდა.

როცა ჩვენი სკოლის დირექტორი მიხეილ ზანდუკელი სკოლიდან დაითხოვეს, მე, ვახტანგ ბერიძემ და თამარ ზანდუკელმა პროტესტის ნიშნად დავტოვეთ სკოლა და შემდგომ ექსტერნად ჩავაბარეთ გამოსაშვები გამოცდები, მაშინ 15 წლისაც არ ვიყავი და ინსტიტუტში რომ ჩავერიცხეთ, მე თვითონ გადავიკეთე მეტრიკა. წლები მოვიმატე.

სხვაც ბევრი მახსოვს კარგი მასწავლებელი.

**— თქვენს მოწაფეებზე რას გვეტყვით?**

— უამრავი მოწაფე მყავს. მათ შორის ბევრმა ჩემი ხელმძღვანელობით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ინსტიტუტში ყველა განყოფილების ხელმძღვანელი ჩვენთან გაზრდილი დოქტორია. სხვაგანაც არიან კათედრათა გამგეები, პროფესორები. ეს ჩემთვის დიდი სიხარულია.

**— თუ გაქვთ იმედი, რომ ჩვენს ქალებს ახლო მომავალში მიეცემათ ნორმალური ცხოვრების საშუალება და რას ემყარება თქვენი იმედი?**

— უიმედოდ ცხოვრებას რა აზრი აქვს? ეს უთუოდ მოხდება. ბევრი სიძნელე გადავლახეთ და ბევრსაც გადავლახავთ. ზოგი რამ ჩვენზეც არის დამოკიდებული. გარდა ამისა, წინათგრძნობაც მაქვს...

**— თქვენისთანა ადამიანის წინათგრძნობაც ანგარიშში ჩასათვლელია. გმადლობთ წინათგრძნობისა და საუბრისათვის.**

ესაუბრა **ნარგიზა მგელაძე**

# თავს უკეთ იგრძნობთ, თუ...

**ზღვის ავადმყოფობისას** — თვითმფრინავში ჩაჯდომის წინ დალიეთ ცოტა ღვინო ან განზავებული ზღვის წყალი.

**შესივებისას** — გაჭერით ყურძნის მარცვალი და დაიდეთ შესივებულ ადგილზე.

**თუ ძაღლმა გიკბინათ** — გასრისეთ ხახვის ბოლქვი, დაამატეთ სუფრის კოვზი თაფლი, ერთი ჩაის კოვზი ღვინის ძმარი (და არა ესენცია) და დაიდეთ ნაკბენ ადგილზე.

**ნაბახუსევზე** — მეორე დღეს კარგია კომშის წვენის მიღება.

**წითელი ქარის დროს** — კუნელის კენჭრის ფაფას წაუსვამენ წითელი ქარით შესიებულ ადგილზე და დააფენენ ძმარში დასველებულ ოთხფენოვან დოლბანდს.

ან:

ერთ ჭიქა ახალ, ძალიან გაციებულ მაწონს შეურიეთ ერთი ჩაის კოვზი სარეცხი ლილა (ფხვნილი), წაუსვით დოლბანდს და დააფინეთ მტკივან ადგილზე. საფენი იცვალეთ 24 საათში ერთხელ (მაწონი ყოველთვის ახალ-ახალი უნდა იყოს).

**ფერისმჭამელების დროს** — წაისვით ლელვის ფოთლის რძე და თან დალიეთ ჭინჭრის ნახარში, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: ორ სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ჭინჭარს დაასხით 400 გრამი მდუღარე წყალი, გააციეთ, გაფილტრეთ და მიიღეთ დღის განმავლობაში.

**თავის ტკივილის დროს** — ლიმონის ქერქი (შიდა მხრიდან) დაიდეთ საფეთქლებზე. ტკივილი მალე გაგივლით.

**კბილის ტკივილის დროს** — ღორის ქონის უმარილო ნაჭერი დაიდეთ მტკივან კბილსა და ღრძილს შორის, ტკივილი მალე გაგივლით.

ან:

მტკივანი კბილის მოპირდაპირე მხარეს, მაჯაზე (შიდა მხრიდან) დაიყარეთ მარილი, ზედ დაიდეთ გაჭრილი ნიორი და შეიხვიეთ. ტკივილი უკვალოდ გაქრება.

მოამზადა **მანანა იმესაშვილმა**

# აფხაზეთი — ჩემი გოლგოთა



მსოფლიოს გასაგონად!

● ნუცა ასლანიკაშვილი

სოფელ გლდანში ახლობელმა მიწის ნაკვეთი დაუთმო პატარა ქოხით. უცებ გახდა სოფლისათვის ცნობილი და პატივცემული პიროვნება. მასთან ხშირად იკრიბებიან, საუბრობენ, მსჯელობენ, ტელევიზიით გადმოცემული ახალი ამბებით ხან იმედს უსახავენ, ხან კი... ხან კი უიმედობა დაეუფლება ოთხმოც წელს გადაცილებულ ნუცა ასლანიკაშვილს.

1994 წლის ივლისში დაბრუნდა აფხაზეთიდან „სამშობლოში", როგორც საბუთში ჩაუწერეს. მანამდის კი ერთი წლის განმავლობაში მარტოდმარტო იმყოფებოდა სოფელ ლინდავაში.

სახე მკაცრი აქვს ნუცა ბებიას, მკაცრი და დამთრგუნველი. დიდი, ცისფერი, გაწყალებული თვალები იყურება პურის ქერქივით დალარული სახიდან. ძნელია წარმოიდგინო უფრო მეტად ნატანჯი სახე. გრძნობ, თითოეული ნაოჭი რაღაც გაუგონარ, ამაზრზენ ამბავს ფარავს.

იგი სოფელში დაიბადა, იქვე დაბერდა. წლების განმავლობაში თავკაცობდა სოფელს... გაუჭირდა ლტოლვილ ნუცა ასლანიკაშვილს თბილისში, დიღმის № 1 ბავშვთა სახლის კორპუსში, ერთ პატარა ოთახში გამოკეტვა და როგორც თვითონ ამბობს, ამ მიწის ნაკვეთმა გაუხანგრძლივა სიცოცხლე.

ენატრება მოხუცს დამწვარი სახლ-კარი, შვილის საფლავი, უგზოუკვლოდ დაკარგული მეუღლე. მშობლიური სოფელი, სახნავი და სათესი, სალოცავი, აღონებს გაურკვეველი მომავალი, შვილების აქეთ-იქით ხეტიალი, უსახლკარობა.

სოფელ გლდანის განაპირას დასახლებულს გოჭი აჩუქეს, მაგრამ... საახალწლოდ ვიღაცამ ღორს ყელი გამოსჭრა და ტომარაში უკრა თავი. იცნო „მოკეთე" ნუცა ბებიამ და იტირა სხვაგვარად გულმოკლულმა. შეიყარა სოფელი, მოვიდა უბნის რწმუნებული, მაგრამ ვერც განცხადება დააწერინა და ვერც სამხილი დანა გამოაჩენინა.

„იცით, როგორ მენატრებოდა თუნდაც ერთი ქართული სიტყვის გაგონება?! არა, შვილო, ქართველ კაცს საციხედ როგორ გავიმეტებდი... მარტოდ დარჩენილი მთელ წელიწადს ვფიქრობდი ჩვენს უბედურებაზე და იმ აზრამდე მივდიოდი, რომ ჩვენმა შერყვნილმა ზნეობამ ყველაზე მეტად ამ ომში იჩინა თავი. უზნეობის ზეიმია აფხაზეთი. ღმერთს შველას ვთხოვდი, შვილების სიცოცხლეს, მათ ხილვას ვევედრებოდი. ისმინა უფალმა ჩემი ლოცვა, თუმცა მერჩია ჩემი შვილები დაბრუნებულიყვნენ აფხაზეთში", — ამბობს გულისტკივილით ნუცა ბებია.

კედელზე გამჭვარტლული, ნატყვიარი ჯვარი ჰკიდია. საინტერესოა ჯვრის ამბავი:

— იგი ჩემს უფროს ვაჟს, ზურაბს აჩუქეს. ეკიდათ ოჯახში, თუმცა დიდი მორწმუნე არც ერთი არ გახლდათ. ერთ დღეს ბინაში ხანძარი გაჩნდა. დაიწვა ყველაფერი. მხოლოდ ჯვარი და უმეთვალყურეოდ დარჩენილი სამი მცირეწლოვანი ბავშვი გადარჩა. დღესაც ამჩნევია იმ ხანძრის კვალი ჯვარს. ორ წელიწადში აღადგინა განადგურებული სახლ-კარი ჩემმა ვაჟმა. სოხუმს ტოვებდნენ. ჩემმა ბიჭებმა საკუთარი კამაზის ტიპის დახურული მანქანით გამოუარეს თავიანთ სახლებს. ბინები ჯერ კიდევ გაუძარცვავი იყო. შეეძლოთ იმდენი ქონება გადმოეტანათ, რომ დღეს აქ კარგად ეცხოვრათ, მაგრამ მხოლოდ ეს ხის ჯვარი წამოიღეს. დიახ, ქონებას ჯვარი არჩიეს და ამ ჯვრის მადლმა გადმოატარა გოლგოთის გზად ქცეული ჭუბერის უღელტეხილი ასამდე ქალითა და ბავშვით დატვირთულ მათ მანქანას სამშვიდობომდე.

დღეს ეს ჯვარია ჩვენი ოჯახის მფარველი. ყველა მორწმუნე ვართ და იმ იმედით ვცხოვრობთ, რომ ჯვარი უკან დაგვაბრუნებს.

თავად ნუცა ბებიამ ერთწლიანი ტყვეობა გამოიარა სოფელ ლინდავაში. მისი შეულამაზებელი ამბავი აფხაზეთის დატოვების დოკუმენტურ მასალად გამოდგება.

„1993 წელი, 16 სექტემბერი.

ავად ვარ. ვეღარ ვდგები. ტელევიზორთან ახლოს ვწევარ, ჯერჯერობით არაფერს გადმოსცემენ. შემოდის დიდარი და მეუბნება: — აფხაზებმა დაიწყეს... ჩემი სოფელი ლინდავა ხანმოკლედ დაკავებული აქვთ აფხაზებს, გაალთრებული ბრძოლები ყოფილა სოფელ შრომასთან, რომელიც სამი კილომეტრითაა ჩვენგან დაშორებული. ოჯახში ყველა მოხუცი და ინვალიდი ვიყავით. მე — ასლანიკაშვილი ნუცა — 80 წლის. ჩემი მეუღლე — ბენიძე შოთა — 80 წლის, ჩემი მული — თინა ბენიძე — 88 წლის, ბავშვობიდან ინვალიდი.

ტელევიზორი ცნობებს გადმოსცემს: აფხაზები მოიწევენ. დაიკავეს არადუ, ახალდაბა. კოდორის ხიდზე მოკლეს სამშვიდობო ძალების დიდი ჩინოსანი.

გამიარა ყველა ტკივილმა. გავედი გზაზე. ვხედავ, ყველა გარბის. ჩემი ბიჭები სოხუმში არიან. საავტომობილო გზები ყველგან ჩაკეტილია. რა ვქნათ? თინა გაიქცა. ფეხშიშველი წასულა. დავიბენი. ამასობაში დაღამდა. დაგვიშინეს ტყვიები. უკვე ვიცი, მთელ ჩვენს უბანში მარტონი ვართ. ვტირი ხმამაღლა. სად იყო, სად არა, ვენახებიდან გამოძვრა ვინაღი. გვამშვიდებს — ნუ გეშინიათ, ხვალ ბიჭებს შევატყობინებ.... დილით მოკლეს 7 აფხაზი და 2 რუსი.

17 სექტემბერი.

იარაღი რომ გვქონოდათ და ორგანიზებულად ებრძოლათ, ასე ადვილად ვერ მოგვერეოდნენ. სანიჩლარმა მხეცებმა ჯავრი ბებრებზე იყარეს. ჯერ კიდევ 16 სექტემბერს მოკლეს 65 წლის კოლია უგრეხელიძე, 64 წლის მიშა უგრეხელიძე, ნოდარ მიქავა, რომელსაც ორივე რძალი აფხაზი ჰყავდა. უშიშრად შეხვდა მტერს, და შვილთან ერთად დაცხრილეს. მოკლეს 85 წლის კატო გოგუაშვილი, ტყვედ წაიყვანეს ზურაბ ბერია. დახვრიტეს გრიშა უგრეხელიძე, ოქსენტი უგრეხელიძე, 85 წლის აკაკი აბულაძე. ასე გვისწორდებიან მხეცები. ეს ხდება ომის დაწყების პირველ და მეორე დღეს. აუპატიურებენ მოხუცებს, ძარცვავენ სახლებს.

18 სექტემბერი.

დილით საქონელი გადავრეკე. უკან მობრუნებულს შოთა შინ არ დამხვდა. სახლი გადაებრუნებინათ, თუმცა არაფერი წაეღოთ. რას ეძებდნენ? წივილ-კივილით დავეძებ შოთას.

მთელი უბანი იწვის. ყველა სახლიდან კვამლი ამოდის. ძროხები ბღავიან, ძაღლები ყმუიან. საშინელებაა. ჩემს სახლს ჯერ არ უკიდია ცეცხლი. სახლში შევვარდი, ჩემი დაღუპული ბიჭის სურათი გამოვიტანე, წავიღე და ბოსელში დავმალე. უკან მოვბრუნდი. ვხედავ სახლს ცეცხლს უკიდებენ. ალბათ მეც მომკლავენ კატია გოგუაძესავით, ვფიქრობ და თხილებში ვიმალები. შორიდან გავყურებ, როგორ იწვის ჩემი ნაოფლარი. შოთა არ ჩანს. რაღაც ხმაური მესმის. ავიხედე. თავს ჩვენი ძროხა დამდგომია. ერთიანად ცახცახებს. — ვეუბნები — წადი ნიშა. წადი, თავს უშველე. შენც მოგკლავენ. იმის ნაცვლად რომ გამცლოდა, უფრო მომიახლოვდა, თავი კალთაში ჩამიდო. ამასობაში ეზოში შოთა შემოვიდა. სამზად სახლს არ შეხებიან. დავსხედით და ვუყურებთ, როგორ იფერფლება ორმოცდაათი წლის ნაშრომი. ერთი წვეთი ცრემლი არ დაგვიღვრია. ალბათ, ღმერთმა მოგვცა მოთმინება.

19 სექტემბერი.

ჩვენებმა გზაზე ტანკი ააფეთქეს. დაიღუპა ექვსი აფხაზი. ასე მგონია, გავიმარჯვეთ. ჩვენი ბიჭები არსად ჩანან. ლორის სახლი სავსეა „ბოევიკებით", იქიდან ისვრიან. კიბივით მოდის ყუმბარის ნამსხვრევები. ერთი მომხვდა კიდეც, მაგრამ გამეხაჯნა მხოლოდ. ღამეა. თვალს ვერ ვხუჭავ. თითქოს დამათენდა. დილით „ვერტუშკა" აფხაზების სროვა. გინდათ თუ არა, ვალერი ჩაჩხალიას ეზოში მოგვიხანეთ. მე კი ვიცოდი, მაგრამ არ ვუთხარი. გამგზავნეს ხარასთან. ანტონის სახლს რომ მივაღწიე, არნუთის ხმამაღალი ტირილი შემომესმა. აფხაზი მეთაურები მანქანას ტვირთავდნენ. ოთხი დღის მშიერი იყო არნუთი. ის ბრმა და ყრუ იყო. სახლში მოვბრუნდი. აფხაზები წასულიყვნენ. საჭმელი მოვიძიე და ისევ არნუთისკენ გავბრუნდი. ოთახში ჩაეკეტათ ძაღლივით. წვალებით გავაღე კარი. ვერაფერი გავაგებინე, სანამ ბელეზე პური არ შევახე. მიხვდა და გამხდლებული ეცა საჭმელს. ახლაც თვალწინ მიდგას. ღმერთო, შენ დაგვიფარე ჩვენ, ცოდვილნი. მეორე დღეს საშინელება ვნახე. ბეტონის იატაკზე ეყარა დამწვარი ძვლები. ცოცხლად დაეწვათ სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდი, ორდენოსანი კაცი, ეროვნებით ესტონელი. შეძრწუნებული დავბრუნდი სახლში. ვუთხარი შოთას, რაც მოხდა. ისედაც შეწუხებული და შეშინებული სულ წახდა. ახლა ვნანობ, რატომ ვუთხარი.

ღამით დაწვეს ჯოტის ბოსელი. შოთა გაქვავებული ზის. ვხედავ, კაცი თანდათან ქრება და ქვდება. არაფერს ამბობს, ისედაც სიტყვაძუნწი, სულ დადუნჯდა. ვეხვეწები — ნუ დაეცემი, გავუძლოთ გაჭირვებას, სიკვდილს ყოველთვის მოვასწრებთ-მეთქი.

25 სექტემბერი.

დილით ძროხები მოვწველე. ვხედავ, ეზოში ორი აფხაზი შოთას ლანძღავს. ბაბამინდეში შევედი და იქიდან დავუძახე — აქეთ წამოდი-მეთქი. გაქვავებული იდგა და გაყინული თვალებით შესცქეროდა ოცოდე წლის ბიჭებს. შოთას ტანთ დაბამბული სამხედრო ჯუბა ეცვა. ეჩხუბებიან — ეს ვინ მოგცა, — აგინებენ. წაიყვანეს... რამდენიმე წუთში დაბრუნდა. შეხვედრია ძველი ნაცნობი აფხაზი, სიგარეტიც მიუცია რამდენიმე კოლოფი და უკან გამოუშვია. მთელი დღე არ დალაპარაკებია. საღამოს ხანს ძლივს გასაგონად მითხრა, ლორის სახლი იწვისო. მანამდე არ დაუწვავთ, რადგან ვერ შეაცალეს. ეს იყო მისი უკანასკნელი წინადადება და კიდევ ერთი — რა ვქნათ ანდრეევნა?.. არ შერჩა ძველი ვაჟკაცობა, ყველამ იცის, დათვს ბელით მოკლავდა. ისეთ კლდეებზე ცოცავდა, მთახვლელი რომ შეეფერებოდა.

27 სექტემბერი.

აფხაზები გამარჯვებას ზეიმობენ. ჩვენ კიდევ არა ვართ დარწმუნებული დამარცხებაში. მთელი ლინდავა განათებულია. დილით შემოვიდნენ ზეიმით. ჩვენ სახლიდან აღარ გავდივართ. ყველაფერი გადამწვარი და გაპარტახებულია.

29 სექტემბერი.

მეუბნება შოთას — წავალ, გავიგებ, დარჩა ვინმე სოფელში? — უხმოდ დამიქნია თავი. როგორც კი გადავდგი ფეხი, წინ მამალი დამხვდა, და ხატის წინაშე დავიფიცებ, ადამიანის ენით „დამელაპარაკა". მინდოდა უკან მობრუნება, მაგრამ ეშმაკმა მძლია. როგორც კი გზაზე გავედი, შემომხვდა ორი „ბოევიკი". ერთი გამომელაპარაკა — ასე ოცდახუთი წლის იქნებოდა. მიმაბრუნეს უკან. შოთა წამომდგარიყო და ისე იდგა აივანზე, როგორც აჩრდილი. ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მე დამწვარი სახლისკენ წამათრია რუსმა „ბოევიკმა". სასტიკი წინააღმდეგობა გავუწიე. ძალა რამ მომცა, არ ვიცი. გავიქეცი და იქვე სიმინდებში შევიმალე. ვიცოდი, შიშით აქ შემოსვლას ვერ გაბედავდნენ. კარგით, უშველი [illegible] ლავს. მაშინ მოხუცს წავიყვანთ და გავუსწორდებითო. წაიყვანეს და იმის შემდეგ აღარაფერი ვიცი.

გადავედი მეზობელ უბანში, სადაც სხვა მოხუცები შეგროვილიყვნენ, ჩემი სახლიდან ორ კილომეტრში. ისინი ნელ-ნელა მიდიან დასავლეთ საქართველოსკენ.

მეშუქრებიან, წადი აქედანო, მაგრამ რა ვქნა, ვერ ვტოვებ ჩემი ოფლით დამბალ მიწას და უგზოუკვლოდ დაკარგულ მეუღლეს. იმის ქარცეცხლში გავთხოვდი და იმის ქარცეცხლში დავქვრივდი. მინდა მეც აქ, ჩემს მშობლიურ სოფელში დავიმარხო.

3 ოქტომბერი..

ღამეა. ჩემი ძროხებიდან ერთი გამოქცეულიყო და ჭიშკართან ბღაოდა. გული დამეწვა, მაგრამ ვერ გავბედე ღამით გარეთ გასვლა. დილით აღარ დამხვდა.

მეშინია სახლში დარჩენის. შვილის საფლავზე ვათენებ ღამეებს. საფლავები დანგრეულია, რადგან ბრძოლები ამ მიდამოებში მიმდინარეობდა.

ოქტომბერი იწურება... ღამის თორმეტი საათია. უცებ სოფელ ოდიშიდან ავარდა ცეცხლი. წამოვიდა საშინელი სროლის ხმა, იწვის სახლები. აქ ოდითგანვე ბერძნები ცხოვრობდნენ. ისმის საშინელი ხმები. გამიკვირდა, რა უნდოდათ ბერძნებთან, ვერაფერი გავიგე.

ექვსი საათი იქნება, გამოვედი სასაფლაოდან, დავდექი ავტობუსის გაჩერებასთან. ჩამოიარეს ბერძნებმა. მათ შორის ერთმა ჩემმა კარგმა მეგობარმა — კოსტა პანდელიდიმ. მიამბო საშინელი ამბავი. დაწვეს მეურნეობის კანტორა, დაწვეს 17 ბერძენი, რომლებიც სიმინდის ყანების აღებად მოსულიყვნენ. დაწვეს ბერძნების ორი ოჯახი, სოფელ ოდიშის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი მერი ანასტასიადი, ბიძაშვილი იმ „ძვირფასი" ანასტასიადისა, რომელიც აფხაზებს ფულს ურიცხავდა ჩვენი კოლმეურნეობის შემოსავლებიდან. დაწვეს 4 წლის გოგონა და მერის მოხუცი დედა. ყველას ძვლები ევსტაფი ანასტასიადმა (ძალლი იყოს მისი საკუთრები) ეკლესიის ეზოში ერთად დაასაფლავა. აფხაზებს უნდოდათ ეს ამბავი ქართველებისთვის გადაებრალებინათ, მაგრამ თავად ბერძნებმა ბრალი აფხაზებს და სომხებს დასდეს.

პირველად ქართველმა გამძარცვა, ახალსოფელში ცხოვრობს, გვარიც ვიცი მისი — მილიციელია. მერე აფხაზმა ბიჭებმა „ზებრის" ძახილით გამძარცვეს. სომხები ყოველ მეორე დღეს მძარცვავენ, განსაკუთრებით აქტიურობენ ქალები.

მარტო ვზივარ ეზოში. უცებ საშინელი აფეთქების ხმა მომესმა. რამდენიმე საათის შემდეგ გავიგე, რომ ჩემს ნათესავს მეზობელ უბანში თავს დასხმიან სომხები და რაც დარჩენოდა — ერთი ქათამი — წაურთმევიათ. ყაჩაღები შორიახლოს ნაღმზე აფეთქდნენ. დაიღუპა ორივე სომეხი, ქათამი კი შინ უვნებელი მიკაკანდა.

სოფელი სოფელს აღარ ჰგავს. რამდენი ხანია ერთი ადამიანით ცოცხლობს ლინდავა. დავრჩით მე და ქათმები და ჩემსავით ბებერი ძაღლი ჯულბარსი, ხმამაღლა ველაპარაკები წიწილებს, მათ შვილიშვილებს ვეძახი... ერთ დღეს ორი სომეხი დედაკაცი დამეცა. დამიჭირეს. მცემეს სახეში. მათ ჩემს თვალწინ აკრიფეს კრუხ-წიწილა.

— ქალო, შენ „მუმუ" წაკითხული გაქვს? — ვეკითხები ერთს ცრემლგაშრალი.

დადგა ზაფხული. კარგა ხანია ხმა არავისთვის გამიცია.

...აფხაზი ბიჭები მესტუმრნენ, ერთი უაქცენტოდ ლაპარაკობს ქართულად.

— უნდა წახვიდე, ბებია, აუცილებლად უნდა წახვიდე, თორემ მოგკლავენ. სოხუმამდე მე მიგიყვან.

ვთანხმდები. არ მინდა მომკლან, სული თბილისამდე უნდა ჩავიტანო. მთელი მსოფლიოს გასაგონად უნდა ვიყვირო!..

ბილეთს მაჩეჩებენ ქაღალდს, სადაც შავით — თეთრზე წერია:

«— Цель выезда—Отправляется на Родину».

მასალა მოამზადა **ლალი მიგრიაულმა**

ივერიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძვირფასო მკითხველო! თქვენ უსათუოდ მიაქცევთ ყურადღებას ჩვენი ჟურნალის შიდა ყდაზე წარწერას „ჟურნალი გამოიცა ჟორდანიას ინსტიტუტისა და პროგრამის „რეპროდუქტოლოგიის განვითარება საქართველოში“ დახმარებით.

ამ ლაკონურმა წარწერამ სრულად არ დაიტია ჩვენი სატკივარი. წლევანდელი იანვრიდან ჟურნალი გამოსვლას შეწყვეტდა, რადგან არავითარი დახმარება და არანაირი მხარდაჭერა არავისგან გვიგრძნია. ბიუჯეტში არ მოინახა საშუალება ერთადერთი ქალთა ჟურნალისათვის შემწეობის აღმოსაჩენად. ჩვენი ბიზნესმენები კი... „სხვაგან ჰქრის მათი გონება“... უსახსრებოდ კი რას გახდები?

ჰოდა, ჟორდანიას ინსტიტუტმა ჟურნალს დახმარების ხელი გამოუწოდა და გარკვეული თანხა გაიღო „საქართველოს ქალის“ გადასარჩენად, რისთვისაც რედაქცია გულწრფელ მადლობას მოახსენებს ინსტიტუტის დირექტორს ბ-ნ არჩილ ხომასურიძეს გულისხმიერებისა და ღირსეული ქველმოქმედებისათვის. გთავაზობთ მის საუბარს ჩვენი ჟურნალის მკითხველებთან.

# არჩილ ხომასურიძე: ჩვენს ინსტიტუტში კეთდება ყველაფერი, რაც ლონდონში, ნიუ-იორკსა და პარიზში



მივესალმები ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მკითხველებს. მოხარული ვარ, რომ შესაძლებელი გახდა ამ უაღრესად პრესტიჟული ჟურნალის გამოცემის შენარჩუნებაში — ამ მართლაცდა საერო საქმეში ჩვენც მიგვეღო მონაწილეობა.

წლების განმავლობაში გახლდით თქვენი ჟურნალის მკითხველი. უნდა აღვნიშნო, რომ იგი ყოველთვის ღირსეულად ეხმიანებოდა ჩვენი საზოგადოების განვითარების ყველა მნიშვნელოვან პროცესს.

არავისთვისაა საიდუმლო. თუ რა დადებით თუ უარყოფით მოვლენებს აქვს ადგილი ბოლო წლების საქართველოში. იცვლება ჩვენი ცხოვრების სტილი და, ექიმებს პოლიტიკასთან საერთო არაფერი გვაქვს, მაგრამ როგორც საზოგადოების წევრები, ვალდებულნი ვართ ამ მნიშვნელოვანი პროცესების არა მარტო მოწმენი, არამედ მონაწილენიც ვიყოთ.

საქართველოში რეპროდუქტოლოგიის ჩამოყალიბების პროცესი, როგორც ცნობილია, დაიწყო 80-იანი წლების მეორე ნახევარში და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. პირველი სამიოთხი წელი უაღრესად რთული იყო, როგორც ხსენებული პროცესისათვის. ისევე ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის კოლექტივისათვის. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, დღეს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში რეპროდუქტოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი და უაღრესად მნიშვნელოვანი სამედიცინო-სოციალური დისციპლინის ჩამოყალიბების პროცესი, დასასრულს უახლოვდება.

მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება იმის განმარტება, რომ ჩვენი სპეციალობა, რეპროდუქტოლოგია, მოიცავს არა მხოლოდ უშვილო ქორწინებისა და ოჯახის დაგეგმვის პრობლემებს, არამედ ანდროლოგიას, ქალისა და მამაკაცის კლიმაქსისა და მოზარდთა რეპროდუქტოლოგიის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებს.

დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა პერიოდი, როდესაც რეპროდუქტოლოგიას განიხილავდნენ როგორც მეანობა-გინეკოლოგიის, ენდოკრინოლოგიის, ან სექსოლოგიის ნაწილს. განსაკუთრებით აბსურდულია ის ფორმალური მოსაზრება, რომ ჩვენს დისციპლინას თვლიდნენ მეანობა-გინეკოლოგიის ნაწილად, თუნდაც იმიტომ, რომ რეპროდუქტოლოგია, როგორც ცნობილია, მოიცავს ანდროლოგიას. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჩვენმა სასიქადულო თანამემამულემ ი. ჟორდანიამ ჯერ კიდევ 1958 წელს დააარსა საბჭოთა კავშირში, ევროპასა და შესაძლოა მსოფლიოშიც პირველი ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტი. დღეისათვის ჩვენი პროფილის დაწესებულებების დაარსებამ „პანდემიის“ ხასიათი მიიღო, ეს არცაა გასაკვირი.

ისეთი მასშტაბის ინსტიტუტის, როგორიც ი. ჟორდანიას ინსტიტუტია, მოღვაწეობამ (1988 წლიდან ინსტიტუტი დამტკიცებულია საქართველოს ტერიტორიაზე ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთადერთ სათანამშრომლო ცენტრად) განაპირობა ის ფაქტი, რომ რეპროდუქტოლოგია უკვე რამოდენიმე წელია ცალკე გრიფით არის შეტანილი სახელმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიფო რეესტრში, შექმნილია რეპროდუქტოლოგიის სპეციალიზებული საბჭო, მიმდინარეობს მუშაობა დამოუკიდებელი რეზიდენტურის პროგრამის შედგენაზე, ასე რომ, ფაქტობრივად რეპროდუქტოლოგია საქართველოში ოფიციალურად ხდება ისეთივე დისციპლინა როგორიცაა, ვთქვათ, კარდიოლოგია, უროლოგია. პედიატრია და სხვა.

უკვე რამდენიმე წელი გავიდა „საქართველოს ქალში" ჩვენი ბოლო პუბლიკაციის შემდეგ. და მკითხველისათვის ურიგო არ იქნებოდა, მიეღო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება დღეს ი. ჟორდანიას ინსტიტუტში.

ჩემი აზრით, ინტერესმოკლებული იქნება იმის მოყოლა, თუ რამდენი სტატია გამოქვეყნდა ან რა ღონისძიებები ჩატარდა. ერთს გამოვყოფთ: სწორედ ი. ჟორდანიას ინსტიტუტმა ჩაატარა 1990 წელს პირველი მსოფლიო კონგრესი აბორტის პროფილაქტიკაზე, რომელსაც დაესწრო 124 ქვეყნის დელეგატი და რომელმაც მიიღო ცნობილი „თბილისის დეკლარაცია".

მოგეხსენებათ, საქართველოში მიმდინარეობს ჯანდაცვის სისტემის რეფორმა. საგულისხმოა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს სისტემაში ი. ჟორდანიას ინსტიტუტის კლინიკა ერთადერთია, რომელიც სრულ თვითდაფინანსებაზეა და მუშაობს მხოლოდ შიდა სტანდარტებით. მეტსაც გეტყვით, ინსტიტუტის პოლიკლინიკა 1989 წლიდან მუშაობს იმ პრინციპით, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს მედიცინის ამჟამინდელი რეფორმა. ამაში რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩვენი „ალტერნატიული" მედიცინის სპეციფიკამაც და ამიტომაც ხსენებული რეფორმები ჩვენთვის მიზანშეწონილია.

ბუნებრივად ისმის კითხვა: ასეთი რა კეთდება ი. ჟორდანიას ინსტიტუტში?

**შემიძლია მოგახსენოთ, რომ განსაკუთრებული არაფერი. მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვამტკიცებ, რომ ქალისა და მამაკაცის უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დარგში ი. ჟორდანიას ინსტიტუტში კეთდება ყველაფერი ის, რაც ლონდონში, ნიუ-იორკსა და პარიზში. რა თქმა უნდა, მაშინ, როცა გვაქვს სინათლე და არ ჩამოგვდის წყალი.**

**რა არის ჩვენი მუშაობის შედეგი?**

**გიპასუხებთ? წელიწადში სამასამდე ბავშვი უშვილო ოჯახებისათვის, რომლებიც არ უნდა დაბადებულიყვნენ და ჩვენმა ექიმებმა შეძინეს საქართველოს. მათგან 99 პროცენტი ქართველია. აი, თუ შეიძლება ითქვას, ჩვენი „პროდუქცია"**: არათავმდაბლობაში ნუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი: აბა, შეგვედაროს ნებისმიერი დაწესებულება დღევანდელი საქართველოსათვის „პროდუქციის" მნიშვნელობის თვალსაზრისით.

**კიდევ ორი ინფორმაცია: 1. ი. ჟორდანიას ინსტიტუტში, პრაქტიკულად, ყველა ქირურგიული ოპერაცია რვა წელია ტარდება ენდოსკოპიური მეთოდით. გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება, რომ ლაპარაკია არა ენდოსკოპიურ დიაგნოსტიკაზე არამედ, ენდოსკოპიურ მკურნალობაზე. შესრულებულია 9000-ზე მეტი ოპერაცია.**

**2. ინსტიტუტში მიმდინარეობს ექსტრაკორპორალური ხელოვნური განაყოფიერების ურთულესი და ელიტალური პროგრამა და უკვე მიღებულია ოთხი ორსულობა.**

ახლა კი ოჯახის დაგეგმვაზე.

ვფიქრობ, ზედმეტია ვამტკიცოთ, თუ ჩვენი ქვეყნისათვის რაოდენ მნიშვნელოვანი საკითხია ოჯახის დაგეგმვა.

მსოფლიო გამოცდილებამ იგი უკვე კარგა ხანია განაკუთვნა კაცობრიობის წამყვან ეთნიკურ-დემოგრაფიულ, სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემათა რიცხვს, რომ არაფერი ვთქვათ მის სამედიცინო მნიშვნელობაზე.

საქართველოსათვის ოჯახის დაგეგმვა წლების განმავლობაში არცთუ უსაფუძვლოდ განიხილებოდა, როგორც სამედიცინო საკითხი ხელოვნური აბორტის და უშვილობის პრობლემების აქტუალობასთან დაკავშირებით. დღეისათვის საკითხის ასე დაყენება გულუბრყვილობა იქნებოდა, მაგრამ საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით ოჯახის დაგეგმვის პრაქტიკული განხორციელებისათვის სწორედ სამედიცინო ბერკეტების გამოყენება ყველაზე ეფექტურად უნდა ჩაითვალოს.

როგორც ცნობილია, სამედიცინო თვალსაზრისით ოჯახის დაგეგმვა განეკუთვნება რეპროდუქტოლოგიის სფეროს. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყნის უდიდესი საერთაშორისო და არასახელმწიფო ორგანიზაციები რეპროდუქტოლოგიის განვითარებას უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. სწორედ ამიტომ გახდა რეპროდუქტოლოგია 1994 წლის ქაიროს ეპოქალური ფორუმის ძირითადი საკითხი.

ცნობის სახით: დადგენილია, რომ დემოგრაფიული პროცესების თვალსაზრისით საქართველო განეკუთვნება ე. წ. ევროპული ტიპის ქვეყნების ჯგუფს, რომლებისთვისაც დამახასიათებელია შობადობის შენელება და მოსახლეობის გადაბერება (ევროპიდანაც კი ცუდი გადმოვიღეთ). ისიც ცნობილია, რომ ხსენებული პროცესი კანონზომიერი გახდა და მასზე რაოდენობრივი ზემოქმედება შეუძლებელია. შესაძლებელია მხოლოდ ხარისხობრივი ზემოქმედება და სწორედ ესაა საქართველოს ოჯახის დაგეგმვის ძირითადი მიზანი.

როგორ არის ამ მხრივ საქმე?

ი. ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტში—კარგად: იხმარება ყველა უახლესი კონტრაცეპტივი და განთქმული RU—486-იც კი. შეიძლება ითქვას, რომ ქალაქ თბილისშიც თანამედროვე კონტრაცეპტივები საკმაოდ ფართოდ გამოიყენება ი. ჟორდანიას ინსტიტუტის ძალისხმევით, რომელიც უფასოდ ავრცელებს ჩასახვის საწინააღმდეგო ყველაზე თანამედროვე საშუალებებს, და შესაბამის საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა, რის შედეგადაც თბილისში მცხოვრები ყოველი მეორე ქალი იყენებს თანამედროვე კონტრაცეპტივებს. მსოფლიოში რუსულ ენაზე გამოსული ერთადერთი კონტრაცეპციის სახელმძღვანელოს ავტორიც მე გახლავართ.

რესპუბლიკის რაიონებში კი ბოლო წლებში მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. ი. ჟორდანიას ინსტიტუტის მიერ დაარსებული 20 რეპროდუქციული კაბინეტიდან ყველასათვის კარგად ცნობილი ფინანსური და ეკონომიური მიზეზების გამო, ამჟამად ფუნქციონირებს მხოლოდ 8, მდგომარეობის გამოსასწორებლად ალბათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება გაეროს იმ პროექტს, რომელიც ახლახანს დაუმტკიცდა საქართველოს.

ჩვენი დიდი ბრძოლის შემდეგ, მიუხედავად დიდი კონკურენციისა, გაეროს ერთ-ერთი მთავარი დეპარტამენტის UNFPA-ს (გენერალური დირექტორი — ნაფიზ სადიკი) მიერ, ამა წლის 21 მაისს საქართველოს დაუმტკიცდა პროექტი სახელწოდებით „რეპროდუქტოლოგიური სამსახურის განვითარება", 925 000 ამერიკული დოლარის ბიუჯეტით 2 წლის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება მინდა გავამახვილო იმაზე, რომ ხსენებული თანხა არ არის ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც ი. ჟორდანიას ინსტიტუტს პრაქტიკულად არასოდეს მიუღია. ეს არ არის კრედიტი, რომელიც ასე თუ ისე ყოველთვის უბრუნდება კრედიტორს, არამედ ეს კონკრეტულად შეკვეთილი სამუშაოს დასაფინანსებლად გადასახდელი თანხაა. ჩვენ უნდა შევასრულოთ ეს სამუშაო და მისი შედეგების ანგარიში ჩავაბაროთ UNFPA-ს შესაბამის კომისიას, საფუძვლიანი საერთაშორისო პრინციპების მკაცრი დაცვით, შესრულებული ეპიდემიოლოგიური გამოკვლევის სახით.

პროექტის ძირითადი მიზნებია:

საქართველოში რეპროდუქტოლოგიის სამსახურის ჩამოყალიბება, ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე სისტემისა და ნაციონალური რეპროდუქტოლოგიური პროგრამის შექმნა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დსთ-ს ქვეყნებიდან ანალოგიური პროექტი დაუმტკიცდა მხოლოდ უკრაინას, სომხეთს და კიდევ გამოყოფილია ერთი ერთმილიონიანი პროგრამა შუა აზიის ყველა რესპუბლიკასა და რუსეთზე.

პროექტის გეგმა მოიცავს გაეროს სისტემაში წლების განმავლობაში შემუშავებული მუშაობის ყველა პრინციპს. რა თქმა უნდა, რესპუბლიკის სპეციფიკის გათვალისწინებით, როგორიც არის: ექიმების, ჯანდაცვის ორგანიზატორების, ექთნების, ბებია-ქალების, სტატისტიკოსების სისტემატური სტაჟირება, როგორც ადგილებზე და თბილისში, ასევე საზღვარგარეთ, სემინარების, კონფერენციების ჩატარება, ტექნიკური დახმარება კონტრაცეპტივებით, სამედიცინო აპარატურით, ყველა ღონისძიების ტექნიკური უზრუნველყოფა. და, რა თქმა უნდა, საზღვარგარეთელი ექსპერტების სისტემატური კონსულტაციები. ამასთან პროექტში ხაზგასმულია ადგილობრივი პოტენციალისა და განსაკუთრებით ი. ჟორდანიას ინსტიტუტის, როგორც პროექტისათვის უნიკალური შესაძლებლობის, გამოყენების აუცილებლობა.

ჩვენი აზრით, პროგრამის ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მარტო მის რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ მხარეზეც, დარწმუნებული ვართ, რომ ისევე როგორც აუცილებელია უშვილობის სამკურნალო კონტიგენტის წინასწარი შერჩევა შვილოსნობის მიზანშეწონილობის საკითხის გათვალისწინებით, ასევე აუცილებელია კონტრაცეპციის ფართო დანერგვა იმ პაციენტთა შორის, რომელთაც აქვთ შთამომავლობის ყოლის გენეტიკური წინააღმდეგ ჩვენებები, მაგალითად, ეპილეფსიის, ფსიქიური დაავადებების, დიაბეტის და სხვა პათოლოგიების დროს. რა თქმა უნდა, საჭიროა შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავება ჩვენ კოლეგებთან ერთად. მე წინადადება მაქვს დავიწყოთ კონკრეტული მუშაობა ეპილეფსიის განხრით და თუ შედეგები დამაიმედებელი აღმოჩნდა, პროგრამის განხორციელების პროცესში მოვიცვათ დანარჩენი დაავადებებიც.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ შევეხები ჩვენი საზოგადოებისათვის რატომღაც საკმაოდ ძნელად აღსაქმელ საკითხს: ესაა აბორტის პრობლემა და მისი პროფილაქტიკის ყველაზე უკეთესი საშუალების — თანამედროვე კონტრაცეპტივების გამოყენება.

მინდა კიდევ ერთხელ გავცე პასუხი იმ ვაიექიმებს (უფრო სწორედ აბორტმახერებს), რომლებიც „მჭევრმეტყველებენ“ კონტრაცეპციის მავნებლობაზე: 1. დღეისათვის მსოფლიოს მეტ-ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში აბორტს არავინ იკეთებს, რასაც თანამედროვე ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებით აღწევენ. ისმის კითხვა: დასავლეთის ქვეყნებში საზოგადოება ჩვენზე ნაკლებადაა გათვითცნობიერებული, თუ მათი კულტურის დონე ჩვენზე დაბალია?! 2. დავუშვათ კონტრაცეპტივები მავნებელია ქალის ორგანიზმისათვის (მოგახსენებთ, ყველა წამალს აქვს უკუჩვენება), მაგრამ აბორტზე უარესი ხომ არ იქნება?!

რაც შეეხება აბორტის პრობლემას, ამ სფეროში ცხვირის ჩაყოფას ცდილობს ზოგიერთი ვაიპოლიტიკოსი და „პატრიოტი“, რომელთა აზრით აბორტი ცოდვაა და იგი უნდა აიკრძალოს.

თუ რა უბედურებაა აბორტი, ჩვენზე, ექიმებზე უკეთ არავინ იცის, ჩვენ ვთვლით, რომ აბორტი მართლაც ცოდვაა, მაგრამ იგი უნდა აღმოიფხვრას და არა აიკრძალოს. აბორტის აკრძალვას არც ერთი ქვეყნისათვის არც ერთ პერიოდში კარგი არაფერი მოუტანია, მხოლოდ არალეგალური აბორტების და მათი გართულებების სიხშირის ზრდა გამოიწვია. მისი აღმოფხვრა კი უნდა მოხდეს სწორედ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების ფართო გამოყენებით და შესაბამისი სამედიცინო პროპაგანდით.

# მიხარია, რომ ვიღაცას ვჭირდები

კაბინეტი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივია. სწორედ ისეთი, მრავალი თანამდებობის პირისათვის რომ კეთდებოდა: ოდნავ მოზრდილი, ერთი შეხედვით შთამბეჭდავი, კედლებში ჩადგმული თაროებითა და წიგნებით სავსე, არც თუ ღარიბული ავეჯით გაწყოლი...

და მაინც იქ შესული გრძნობ, რომ ჩვეულებრივ კაბინეტში არ მოხვდი. მერე მაშინვე ამ „არაჩვეულებრივობის“ მიზეზის ძებნას იწყებ და პოულობ კიდეც: თაროებზე მოზრდილი თიხის ლარნაკიდან ლამაზი ხელოვნური ყვავილები შემოგცქერიან. მაგიდაზე კი ხელისგულისოდენა ფიალაში მინდვრის ცოცხალი ყვავილები აწყვია. არ ჰგვანან ისინი საგანგებოდ მორთმეულს. უბრალოდ ყოჩივარდებს მასპინძლის ხელი უფრო ეტყობათ.

ეს უჩვეულობა კაბინეტიდან გარეთ, მისაღებში გადაინაცვლებს და მომლოდინეთა რიგად იქცევა. ქალბატონმა ლეილამ, ცოტა შეწუხებულმა, უფრო კი სიამაყეგარეული ხმით მითხრა:

— მე ჩემი საკურატორო სფეროები მაქვს, სხვა საქმეს ხელს არც უნდა ვკიდებდე, მაგრამ რა ვქნა, ვერ ამიხსნია ამ ხალხისათვის. ვისაც რა გაუჭირდება, ჩემთან შემოდის — ქალი ხარ და უკეთ გამიგებო.

ეს თავიდან შეიძლება პირველად მისულს ასე მოეჩვენოს, მაგრამ მერე ყველა მთხოვნელი თუ უკან გაწბილებული გააბრუნე, შენსკენ აღარავინ გამოიხედავს. რაკი მოდიან, იმედი აქვთ; იციან, მოუსმენენ, უყურადღებოდ



ლეილა ჩქარეული

მაინც არ დატოვებენ.

— მე გამონაკლისი არა ვარ. თბილისში სოციალური სფეროს ყველა რგოლს ქალები ხელმძღვანელობენ, ესეც ბუნებრივია.

ლეილა ჩქარეული სამგორის რაიონის გამგებლის მოადგილეა.

— თბილისში დავიბადე, გავიზარდე. სიყმაწვილე და ახალგაზრდობა ვერის უბანში გავატარე. პროფესიით ინჟინერ-ქიმიკოსი ვარ. ინსტიტუტის შემდეგ არც ერთი დღე სამსახურის გარეშე არ გამიტარებია. შინ ყოველთვის მეხმარებოდნენ. საოჯახო საქმის პრობლემა არასოდეს მქონია. ჩემთვის ადვილი იყო თანამდებობაზე ფიქრიც და მისთვის ხარკის გაღებაც. პოსტს შეიძლება ადვილად და დაუმსახურებლად „დაეპატრონო“, მაგრამ თუ საქმის ადამიანი არა ხარ, ან პასუხისმგებლობის და მოვალეობის გრძნობა გღალატობს, თუ არ შეგიძლია საქმისათვის ყველაფერი გაიღო, მაშინ ჩათვალე, რომ შენი სამსახურებრივი კარიერა მალევე დასრულდება.

მე 30 წლის ვიყავი, როცა „საქგალანტერიის“ რესპუბლიკური ბაზის დირექტორად დამნიშნეს. თითქმის ოცი წელიწადი იქ ვიმუშავე, არ იყო ადვილი იმ პერიოდში თანამდებობის შენარჩუნება. მით უფრო, თუ ზურგს არავინ გიმაგრებდა. რაც შევძელი, ყველაფერი მხოლოდ საკუთარი შრომით მოვიპოვე.

1995 წელს ბაზა სააქციო საზოგადოება „გალანტად“ გადაკეთდა. მისი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მე ვარ. მოსკოვიდან ცენტრალური მომარაგებისა და განაწილების დრო დამთავრდა. დღეს შუალედური რგოლი აღარავის სჭირდება, ამიტომ „გალანტიც“ ცდილობს, ახალი ფუნქცია შეიძინოს. იგი პირველ ნაბიჯებს დგამს საბაზრო ურთიერთობების ლაბირინთებში და არც თუ ურიგოდ.

ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილი საქმეს შევალიე. ამიტომაც თამამად შემიძლია გითხრათ, მე ვარ ქალი — ხელმძღვანელი. მიუხედავად ამისა, ვცდილობ და მგონი, გამომდის კიდეც, უპირველესად ქალად დავრჩე. რა თანამდებობასაც უნდა მიაღწიოს სუსტი სქესის წარმომადგენელმა, ის უპირველესად ქალია და მერე სხვა, დანარჩენი.

რაც უნდა დაკავებული ვიყო, ჩემს სახლში სუფრას სხვას არ გავაშლევინებ. ძალიან მიყვარს ჩემებურად, ლამაზად, ყვავილებით რომ მოვრთავ და გავაფორმებ ყველაფერს.

შვილიშვილიც მყავს. ჩემი შვილი უკვე დიდია, პროფესიით იურისტია. მუშაობს, ვგრძნობ, რომ ისიც მე მგავს. თუ მოკიდებს საქმეს ხელს, უნდა უერთგულოს და ბოლომდე მიიყვანოს.

მიხარია, როცა კაბინეტის კარიდან ვხედავ ათობით მომლოდინეს. მიჭირს, ძნელია, ვიღლები, მაგრამ მაინც მიხარია. ხედავ, ვიღაცას ძალიან სჭირდები და იმ ვიღაცამ იცის, შენგან დახმარებას აუცილებლად მიიღებს.

საქმე და ოჯახი ჩემთვის განუყოფელია. მიუხედავად იმისა, რომ საქმეს მეტ დროს ვახმარ.

**მანანა მაჩიაშვილი.**

# სიზმრის ახსნა

## დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

აქლემნი თუ ჩხუბობენ — ორნი მეფენი ერთმანეთს წაეკიდნენ.

ახალი რაიმე ნახო — უცხოეთში წახვალ და უცხო ხალხს ნახავ.

ატმის ჭამა — ავადმყოფობისა და რაიმე შეჭირვების მომასწავებელია.

ამაღლებულ ადგილზე რომ დადიოდე — ამხანაგებში ამაღლდები.

ბრწყინვალე ვარსკვლავი თუ რომელიმე პლანეტა ნახო — კარგი ნიშანია.

ბაყაყის ნახვა — ნიშანია ერთგული ამხანაგისა თუ მეზობლისა.

განძის პოვნა — დარდი და ვარამია და ფიქრი მოიმატო

გუბე აღელვებული ნახო — ცუდსა და არეულ საქმეებს მოასწავებს.

ვირების ნახვა — მწუხარების ნიშანია.

ზარი ჩამოვარდნილი ნახო — ცუდია და განსაცდელის ნიშანია.

თეთრი ტანსაცმელი — უბიწოებისა და გულწრფელობის ნიშანია.

თხა ნახო — სარგებლობა მოგეცეს.

ლოცვა ანუ ტაძარში შესვლა — კარგია და ბედნიერება.

ლომის ნახვა — დიდი და სახელოვანი კაცის ნიშანია.

მკვდარი თუ გელაპარაკებოდეს სახალულაოზედ — კარგი რამეს ნიშანია.

მგალობელი ფრინველი — სიხარულისა და ბედნიერების ნიშანია.

მოხარშვა რაიმესი — ძალიან ცუდია და შფოთის შემატებაა.

მიწისძვრა — საშინელი და საზარელი ამბავია

ნავით თუ იმგზავრო — ძალიან კარგია და ბედნიერება.

ნემსი — ცუდია და ცოტა რამით შეწუხდე.

ნიგოზი — მშვიდობიანობა და კარგია.

ოქროს სამკაული ანუ რაიმე საქონელი ნახო — ყოველივე კეთილია.

ოქროს ფული — ცუდია და ავადმყოფობისა და ზიანის ნიშანია

ოქროს ბეჭედი — ძალიან კარგი და ქორწინების ნიშანია.

ომი — კარგია და ყოველი შეჭირვება მოგშორდეს.

პურის ჭამა ანუ გამოცხობა — ორივე სულ ცუდია.

პომადისა ანუ სუნელების წასმა — ცუდია და ავადმყოფობა.

პირის დაბანა — ცუდია და განსაცდელის ნიშანია.

ზარის ხმა — სიხარულისა და ახალი რაიმე ამბავის ნიშანია.

ვარდი ნახო — კარგია, სიხარულისა და შვების ნიშანია.

ეფრემ-ვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვის და როდის ეძლევა სოციალური დახმარება

**საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულებით 1997 წლის იანვრიდან გაუქმებულია მანამდე არსებული და შემოღებულია ახალი სოციალური (ოჯახური) დახმარებები, რამაც მოსახლეობის დიდი ინტერესი გამოიწვია.**

**ბრძანებულების ირგვლივ წამოჭრილ კითხვებზე გვიპასუხა საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს საპენსიო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსმა ქ-ნმა ასმათ ძებისაშვილმა.**

**— რა სახის დახმარებები გაუქმდა ახალი ბრძანებულებით?**

— 1997 წლის იანვრიდან გაუქმებულია 16 წლამდე და მეტი ასაკის ორბავშვიანი ოჯახისა და მარტოხელა დედებისადმი დახმარებები.

**— დახმარებას „ოჯახური" ჰქვია, რომელ ოჯახებს ენიშნება იგი?**

— სოციალური (ოჯახური) დახმარებები ენიშნებათ:

1. არამომუშავე მარტოხელა პენსიონერების ოჯახებს.
2. არამომუშავე შრომისუუნარო წევრებისაგან შემდგარ ოჯახებს.
3. ქალაქებში მცხოვრებ მხოლოდ უმუშევარი წევრებისაგან შემდგარ ოჯახებს.

ჩამოთვლილი კატეგორიების მიხედვით გარკვეულია, რომ დახმარება დაინიშნება მხოლოდ არამომუშავეებზე. პირველი კატეგორია, თავისთავად დახმარების დანიშვნაზე უფლების მოსაპოვებლად გამორიცხავს მეორე წევრის არსებობას. რაც შეეხება ორ დანარჩენს (ვგულისხმობ მე-2 და მე-3 კატეგორიებს, თუ ოჯახში თუნდაც ერთი მომუშავეა, დახმარების დანიშვნის შესაძლებლობა გამორიცხულია, რათა სახელმწიფოს ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა გაიცეს შრომისუუნაროებზე.

**— მნიშვნელობა აქვს თუ არა ოჯახური დახმარების დანიშვნისას სულთა რაოდენობას და როგორი ოჯახები იგულისხმება მე-2 და მე-3 კატეგორიებში?**

— მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან ოჯახები, სადაც მხოლოდ შრომის უუნარო წევრები ცხოვრობენ. მაგალითად: არამომუშავე პენსიონერები, აგრეთვე, მათთან მცხოვრები 16 (მოსწავლეები 18) წლამდე უდედმამო ბავშვები, აგრეთვე ბავშვები, რომლებსაც ჰყავთ შრომისუუნარო მშობლები.

მე-3 კატეგორიას მიეკუთვნებიან ოჯახები, რომლებიც ცხოვრობენ მხოლოდ ქალაქებში: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, გორში, სოხუმში, წყალტუბოში, ცხინვალში, ტყიბულში, ტყვარჩელში, ჭიათურაში, ზუგდიდში, გაგრასა და ფოთში. მათ დახმარება დაენიშნებათ მაშინ, თუ ოჯახში ყველა წევრი შრომისუნარიანია, მაგრამ უმუშევარი და დასაქმების სახელმწიფო ორგანოში (შრომის ბირჟა) იმყოფება აღრიცხვაზე. ასეთი შრომისუნარიანი მოქალაქენი სამუშაოს აქტიური მაძიებელნი უნდა იყვნენ.

**— ვინ ჩაითვლება ოჯახის შემადგენლობაში?**

— პირველ რიგში განისაზღვრება ოჯახის კატეგორია და შემადგენლობა. მასში გაითვალისწინება: დედა, მამა, შვილები, შვილიშვილები და სხვა. ოჯახის შემადგენლობაში არ გაითვალისწინება: პატიმრობაში მყოფი ან იძულებით სამკურნალოდ გაგზავნილი პირები, სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე მყოფნი, ბავშვები, რომელთა მშობლებს ჩამოერთვათ უფლებები.

რაც შეეხება დახმარების ოდენობას, იგი დამოკიდებულია ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმის ოდენობაზე. მისი ცვლილება გამოიწვევს დახმარების ოდენობის შეცვლასაც.

**— რამდენია დღეისათვის ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმი და რამდენი პროცენტია გათვალისწინებული სულთა რაოდენობის მიხედვით.**

— ფიზიკურ პირთა საშემოსავლოს დაუბეგრავი მინიმუმი ჯერჯერობით კვლავ 9 ლარია.

ერთსულიანი ოჯახისათვის დადგენილია აღნიშნული მინიმუმის 100%.

ორსულიანი ოჯახისათვის — 80%.

სამი და მეტი წევრიანი ოჯახისათვის — 60%.

მაგალითად, 1997 წლის იანვარში მარტოხელა არამომუშავე პენსიონერს, გარდა პენსიისა, განცხადებით მიმართვის შემთხვევაში, დაენიშნება 9 ლარი; ორსულიან ოჯახებს — დაენიშნება 14 ლარი და 50 თეთრი, სამსულიან ოჯახებს — 16 ლარი 20 თეთრი, ხუთსულიანებს — 27 ლარი.

თუ ფიზიკურ პირთა საშემოსავლოს დაუბეგრავი მინიმუმი შეიცვლება და დადგინდება 14 ლარი, ერთსულიანი არამომუშავე პენსიონერის ოჯახი 14 ლარს მიიღებს, ორსულიანი 27 ლარსა და 40 თეთრს და ა. შ.

**— თუ ბავშვიანი ოჯახები ან მარტოხელა დედა შედის ბრძანებულებით გათვალისწინებულ რომელიმე კატეგორიაში, დაენიშნება თუ არა მათ დახმარება და რამდენი?**

— დახმარება მათაც დაენიშნებათ იმ პირობით, თუ

ისინი განეკუთვნებიან ზემოაღნიშნული რომელიმე ოჯახის კატეგორიას. დახმარების ოდენობა კი სულთა რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული.

**— როგორ გადაწყდება დახმარების საკითხი იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს შრომის უუნარო წევრი გამოაკლდება ან, პირიქით, დაემატება?**

— დახმარების ოდენობა ამ შემთხვევაში შეიცვლება.

**— დახმარების ოდენობა თუ შემცირდება, როცა ოჯახის რომელიმე წევრი მუშაობას დაიწყებს?**

— ასეთ შემთხვევაში დახმარების ოდენობა კი არ შემცირდება, არამედ საერთოდ მოიხსნება, რადგან დახმარება მხოლოდ არამომუშავეთა ოჯახებს მიეცემა.

**— ვის და როდის უნდა მიმართონ დახმარების მისაღებად ნაკლებუზრუნველყოფილმა ოჯახებმა?**

— დახმარების შესახებ ბრძანებულება ძალაში შევიდა 1997 წლის იანვრიდან. იანვარში დანიშნული დახმარება ოჯახის კატეგორიის შემოწმების შემდეგ, გაიცემა თებერვალში, თებერვალში დანიშნული მარტში და ა. შ. დახმარებას ნიშნავს სოცუზრუნველყოფის განყოფილება.

**— რა აუცილებელი საბუთებია საჭირო სოციალური (ოჯახური) დახმარების მისაღებად?**

— სამინისტროში შემუშავდა სპეციალური ფორმა დახმარების მისაღებად, რომლითაც გათვალისწინებულია: თვით განცხადება და პასუხისმგებლობა მონაცემთა სისწორეზე, სახლმმართველობის (სოფლის გამგეობის) ცნობა, ფორმა № 1, რომელიც შეივსება უფასოდ, განყოფილების გამგის განკარგულების ტექსტები დანიშვნაზე, გადაანგარიშებაზე ან შეწყვეტაზე.

მოსწავლეებს (16-დან 18 წლამდე) — სასწავლებლიდან ცნობების წარდგენა დასჭირდებათ, ხოლო შრომისუნარიან უმუშევრებს (მე-3 კატეგორია) — საბუთი ან შრომის წიგნაკში შეტანილი ჩანაწერი შრომითი მოწყობის ორგანოდან.

**— ვინ უნდა აცნობოს სოცუზრუნველყოფის ორგანოებს ოჯახის იმ ცვლილებებზე, რაც გავლენას იქონიებს დახმარებაზე?**

— პირველ რიგში თვით დახმარების მიმღებმა, შემდეგ კი ფორმა № 1-ის შემვსებმა ორგანომ და სახელმწიფო დასაქმების სამსახურმა, რომლებმაც შეტყობინება უნდა გაუგზავნონ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს.

**— რა სახის დახმარებებია გათვალისწინებული სამომავლოდ?**

— სოციალური (ოჯახური) დახმარების შემოღება დახმარებების შესახებ კანონის მიღებამდე იმოქმედებს. მანამ კი დაინერგება შემოსავლების დეკლარირებული სისტემა, გაძლიერდება ქვეყნის ეკონომიკა და შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტი. ზოგიერთი კატეგორიის ოჯახს უფრო მეტი მიზნობრივი დახმარებები გაეწევა, რის გამოც ამ სისტემიდან ამოვარდება, ზოგიც პირიქით, დაემატება. ყველაფერი ეს საშუალებას მისცემს კანონმდებელ ორგანოს შემუშაოს მომავლისათვის დახმარების მოქნილი სისტემის კანონპროექტი.

## „გუნდა ყელში"

თუ მღელვარე, ნერვული სიტუაციის მდგომარეობაში ან ფაცა-ფუცით ჭამისას შეამჩნევთ, რომ საჭმელი ყელში გეჩხირებათ და შეეცდებით მისი წყლით გადაყლაპვას, ეს უარესია, თავს უფრო ცუდად იგრძნობთ. ამ დროს საჭიროა ძალიან სიფრთხილე. შეწყვეტთ თუ არა ჭამას, შეეცადეთ დამშვიდდეთ. მოიცილეთ თავიდან ცუდი ფიქრები, გადით სუფთა ჰაერზე, ღამით კი ეცადეთ კარგად გამოიძინოთ.

თუ მეორე დღეს არასასიამოვნო შეგრძნებამ გაგიარათ, დამშვიდდით, — თქვენი შეშფოთების მიზეზი ყოფილა საყლაპავი მილის ხანმოკლე სპაზმი.

ზოგჯერ ხდება ისიც, რომ ყელში კოშტის შეგრძნება გრძელდება რამდენიმე დღეს. ამასთანავე ვითარდება ტკივილი მკერდის ძვლის არეში და მატულობს ნერწყვის გამოყოფა, რაც მოწმობს საყლაპავი მილის მოტორული ფუნქციის დარღვევის განვითარებას ანუ ეზოფაგოსპაზმს. თუ ეს დაავადება გამოავლინა ექიმმა და რენტგენოლოგიურმა და ენდოსკოპიურმა გამოკვლევებმა დიაგნოზი დაადასტურა, მაშინ ავადმყოფისათვის აუცილებელია წელიწადში 3-6-ჯერ სამედიცინო შემოწმება, რათა არ გახვითარდეს დაავადების საშიში მიმართულება.

აუცილებელია ავადმყოფმა გულდაგულ, აუჩქარებლად დაღეჭოს საჭმელი, არ ისაუბროს ჭამის დროს, რათა საჭმელთან ერთად არ ჩაყლაპოს ჰაერი. სრულიად უნდა აიკრძალოს ძალიან ცხელი და ძალიან ცივი კერძები, ალკოჰოლიანი სასმელები. კვება რეკომენდებულია ყოველ სამსაათნახევრის შემდეგ. სასურველია რძის სუპი და ვეგეტარიანული გახეხილი და კარგად მოხარშული საკვები. თევზი და ხორცი (უცხიმო) უნდა მოიხარშოს ან დამზადდეს ორთქლზე. სასარგებლოა რძის ნაწარმი, ბოსტნეული, ხილის წვენები, ასკილის ნაყენი და რძიანი ჩაი.

რაციონიდან უნდა ამოიღოთ ახალი პური, საფუარზე დამზადებული ხაჭაპურები, ბლინები, რადგან ეს ყველაფერი ძნელად გადადის საყლაპავში და ძნელად მოსანელებელია. დაუშვებელია ხორცის ბულიონი, წიწაკა, ნიორი, მჟავე, მწარე სანელებლები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ საყლაპავის მოტორულ ფუნქციაზე.

„ბოლგარსკაია ჟენშინა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღევანდელ საქართველოში— სხვა საქართველოდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



● სცენა სპექტაკლიდან „სისხლიანი ქორწილი"
სარძლო — ლ. ალიბეგაშვილი
დედა — ზ. კვერენჩხილაძე



● სცენა სპექტაკლიდან „ცხოვრება სიზმარია"
ესტრელია — ლ. ალიბეგაშვილი
ასტოლფო — ლ. ბერიკაშვილი

მსახიობად უნდა დაიბადო. მუყაითი შრომით, მონდომებით, მიზანსწრაფვით ბევრს მიაღწევ, შეიძლება კარიერაც შეიქმნა, მაგრამ... თუ ღმერთმა დაგაკლო ის ნაპერწკალი, რითაც იგი თავის რჩეულებს ასაჩუქრებს, მაღალ კატეგორიებზე საუბარი არ შესდგება.

ვინც რუსთაველის თეატრის ახალგაზრდა მსახიობს ლელა ალიბეგაშვილს იცნობს, რომლის შემოქმედებითი გზა უკვე ათ წელს ითვლის, ალბათ დამეთანხმება, რომ მისი აქტიორული ინდივიდუალობა თვითმყოფადობით და მრავალწახნაგოვნებით გამოირჩევა. ლელამ ქორეოგრაფიული სასწავლებელი დაამთავრა. მშვენიერი ფიზიკური მონაცემებისა და არტისტული ნატურის წყალობით, მას ამ სარბიელზე კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ლელა დრამის მსახიობობაზე ოცნებობდა. სასწავლებლის დამთავრებისთანავე, 1982 წელს, წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თეატრალურ ინსტიტუტში და ლილი იოსელიანის სახელოსნოში მოხვდა. ამ შემთხვევაშიც ბედმა გაუღიმა ლელას — ქალბატონი ლილი ისეთი პედაგოგია, რომელიც მოდუნების საშუალებას ერთი წუთითაც არ აძლევს თავის აღსაზრდელებს და თუ კი რამ მათში ოდნავ ღვივის (ნიჭი მაქვს მხედველობაში), ბოლომდე გამოამზეურებს; ამასთანავე, დამოუკიდებელი აზროვნების უნარს გამოუმუშავებს. ინსტიტუტში გატარებული ოთხი წელი თავდაუზოგავი შრომის, ძიების, ზოგჯერ დაეჭვების, ზოგჯერ საკუთარი ძალების რწმენის, იმედგაცრუების, წარმატებით მოგვრილი სიხარულის წლები იყო და აქ ჩაყრილი საფუძველი იმდენად მყარი აღმოჩნდა, რომ დღეს ლელა ალიბეგაშვილს თამამად ძალუძს სხვებს გაუზიაროს თავისი აქტიორული მიღწევებისა და, უკვე შეიძლება ითქვას, ოსტატობის საიდუმლო.

ინსტიტუტის პერიოდიდან ლელა სამ ნამუშევარს გამოყოფს: არიელს — შექსპირის „ქარიშხალში" (საკურსო სპექტაკლი), ყამარს — შადიმან შამანაძის „ღია შუშაბანდში" (სადიპლომო სპექტაკლი), ბიბლიისა და ებრაული პოეზიის მიხედვით შექმნილ საექსპერიმენტო ხასიათის სპექტაკლს — „უკვდავების სერაფიმები", სადაც ძალები მოსინჯა, როგორც მკითხველმა. პირველიორი სპექტაკლის დადგმა ეკუთვნოდა ლილი იოსელიანს, ხოლო მესამე — იზა გიგოშვილსა და მერაბ თავაძეს. ჩემთვის გასაგებია, თუ რატომ გამოაცალკევა ლელამ ეს ნამუშევრები — ისინი ხომ რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან სტილისტიკით, ჟანრობრივად, ეპოქალურად. თვით პროცესი — აქტიორულ პალიტრაში მიაკვლიოს ახალ გამომსახველობით საშუალებებს, მას, როგორც მსახიობს, სიამოვნებას გვრის.

პირველი როლი დიდი თეატრის სცენაზე იყო ჯეინი, პამელა ტრავერსის „მერი პოპინსში" (რეჟისორი ნანა ხატისკაცი) — სიცოცხლით სავსე, მეოცნებე, გულუბრყვილო გოგონა, დახვეწილი ქცევებითა და გამომსახველი პლასტიკით.

აკაკი წერეთლის „სამგვარ სიყვარულში" მსახიობი კეთილშობილური მანერებითა და შინაგანი ღირსების ნიშნით აცოცხლებდა მე-19 საუკუნის ქართველი თავად--აზნაურობის ერთერთ ტიპიურ წარმომადგენელს მათიკო აბაშიძეს; მომხიბვლელი, მომღხენი, სიყვარულის ნოსტალგიურ ჰანგზე მგალობელი, კოლორიტული და გრაციოზული — ასეთი იყო ამ პერსონაჟის ლელა ალიბეგაშვილისეული დახასიათება.

სავსებით განსხვავებულ სტილისტიკაში, მკვეთრად სახასიათო მანერაში მუშაობდა ლელა ალიბეგაშვილი ცვირის როლში, მიხეილ ჯავახიშვილის გენიალური რომანის „კვაჭი კვაჭანტირაძის" მიხედვით ავთანდილ ვარსიმაშვილის მიერ ინსცენირებულ და რუსთაველის თეატრში განხორციელებულ სპექტაკლში. მსახიობის შესრულება მწვავე სატირული შტრიხებით იყო სავსე, გროტესკულ ფერებსაც თამამად მიმართავდა და ამავე დროს იყო ელეგანტური, რბილი და თბილი ტონებით გაზავებული.

არაამქვეყნიური, საოცრებათა სამყაროდან ჩვენს პლანეტამდე სულის სალბუნად მოვლენილი, ფცნაურობათა ფოიერვერკით გამორჩეული, უჩვეულო ფერებით გახივოსნებული, სიფრიფანა ბალერინა ლილიენი დიკენსის „საშობაო სიზმარში" (რეჟისორები — ოთარ ეგაძე, ლევან წულაძე; დადგმის ხელმძღვანელი რობერტ სტურუა) — ფერწერულ ტილოს მოგაგონებთ. ეს ზცენური სახე ლელა ალიბეგაშვილის აქტიორული ბიოგრაფიის მშვენებაა.

ლელა ალიგებაშვილისთვის ერთნაირად საინტერესოა როგორც სახასიათო, ისე დრამატულ როლზე მუშაობა. მას იტაცებს კონტრასტული ფერების შეხამება და მთლიანად იზიარებს შეხედულებას, რომ მსახიობი უკიდურესი გარდასახვისათვის უნდა იყოს მოწოდებული — ეს ხომ მისი პროფესიის არსია. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო იყო რობერტ სტურუასთან მუშაობა სპექტაკლებში: კალდერონის „ცხოვრება სიზმარია" (ესტრელია) და შექსპირის „მაკბეტი" (ლედი მაგდაფი). ესტრელია ალიბეგაშვილის შესრულებით მებრძოლი, მიზანსწრაფული, პატივმოყვარე ქალია, რომელიც არაფრის და არავის წინაშე უკან არ დაიხევს; ლედი მაგდაფი კი ტრაგიკული პიროვნებაა. ამ ეპიზოდურ სახეში მსახიობი ახერხებს სისხლსავსედ გადმოგვცეს ბედისწერის დარტყმით მიყენებული ღრმა ტკივილი.

მძაფრი დრამატიზმით წარმართავდა ლელა ალიბეგაშვილი სარძლოს როლს ფედერიკო გარსია ლორკას „სისხლიან ქორწილში" (რეჟისორი მერაბ სვირავა). აქ იგი პარტნიორობას უწევდა გამოჩენილ ოსტატებს — ზინა კვერენჩხილაძეს და ედიშერ მაღალაშვილს და უნდა ითქვას, რომ მეტად ორგანულად ჩაეწერა მათს ანსამბლში. ემოციური მუხტი, ტემპერამენტი და ფილიგრანული პლასტიკა საშუალებას აძლევდა მსახიობს წარმატებით დაეძლია ეს ურთულესი სცენური სახე.

ახლახანს ლელა ალიბეგაშვილმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა — შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, ბრწყინვალედ ითამაშა ჩვენს იდეალურ წარმოსახვაში ჩამოყალიბებული თანამედროვე გოგონას ნიას არაორდინალური სახე, ლაშა თაბუკაშვილის ახალ დრამატურგიულ ქმნილებაში „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი". ნია დღევანდელ საქართველოში სხვა საქართველოდან, პარალელური საქართველოდან მოვიდა, რომელიც ჩვენი ოცნების საქართველოა. ეს პერსონაჟი იმ თვისებებს აერთიანებს, რაც ამ ბოლო პერიოდში დავკარგეთ და შემდგომ ველარ შევიძინეთ — რწმენა, ამაღლებული სიყვარული, სიკეთე; ნია თვით ღვთისაგან ბოძებული საჩუქარია, რაც შესანიშნავად მოაქვთ ჩვენამდე მსახიობს და რეჟისორებს — რობერტ სტურუასა და დავით ხინიკაძეს.

ლელა ალიბეგაშვილი მრავალმხრივი მსახიობია. თავდავიწყებით უყვარს თავისი პროფესია, რაც ბავშვობიდანვე შეუცდომლად განსაზღვრა. მას ყველა ის აუცილებელი თვისება მოჭარბებულად აქვს, რის გარეშეც თანამედროვე თეატრში ძნელია რაიმეს მიღწევა; ამას ერთვის ინტელექტი, შრომისმოყვარეობა, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა და იმის ღრმა შეგნება, რომ მსახიობი უანგარო მსახურია თავისი პროფესიისა და როგორც გმირი ომის ველზე, ასევე მზად უნდა იყოს სიცოცხლე შესწიროს თეატრის კეთილდღეობას.

**ვაჟა ძიგუა**



● ჩ. დიკენსი — „საშობაო სიზმარი".
ლილიენი — ლ. ალიბეგაშვილი
სკრუჩი — კ. საყანდელიძე



● სცენა სპექტაკლიდან „სისხლიანი ქორწილი"
სარძლო — ლ. ალიბეგაშვილი
სასიძო — თ. გიორგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხოვრება ლექსით იწყება



● შიო მღვიმელი მეუღლესთან ანა ჩივაძესთან ერთად

ქართველი ბავშვისათვის ეს შიო მღვიმელის ლექსია: არაჩვეულებრივად მსუბუქი, სათავისო, თითქმის ყველა პატარას სათქმელს რომ ამბობს ბრძნულად, მარტივად, სხარტად, ადვილად დასამახსოვრებლად — ეს რა განძი გვქონია — ძია შიოს ლექსები!

დიდი ხანი არაა, რაც იტალიაში გამოცემულ კალენდარს მისი საშემოდგომო ლექსი დაურთეს.

და ამ კაცმა იცხოვრა საოცრად ჩუმად, ფეხაკრეფით. არავისთვის არაფერი უთხოვია, არავინ შეუწუხებია. პირიქით, სხვისთვის აკეთებდა, თუ რამ შეეძლო. დიდი ბავშვი, ჩუმი და უწყინარი ლექსით ამბობდა ყველაფერს.

130 წლის წინათ დაიბადა ქართლის სოფლის შუაგულში, ქუჩუკაშვილების ოჯახში. შიო დაარქვეს. სოფელი აძლევს სულის საზრდოს. იმდენად ახლოს არის ბუნებასთან, თითქოს ესმის ჩიტების, ნაკადულების, ცხოველების.

გორის სკოლაში შეჰყავთ, საიდაც რიცხავენ აკაკის „ხანჯლის“ წაკითხვისათვის.

ლექსების წერას ადრე იწყებს, უდროოდ გარდაცვლილი იოსებ დავითაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი „ივერიამ“ დაუბეჭდა. სწორედ ამ ლექსით დაამთავრა დიდმა ილიამ თავისი სამგლოვიარო სიტყვა 27 წლის პოეტის დაკრძალვაზე. იზრდება შიოს პოპულარობა. ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდება მისი ლექსები.

21 წლისა გორიდან თბილისში ჩამოდის. წიგნის მაღაზიაში ეწყობა. მუშაობს უანგაროდ, პატიოსნად, მაგრამ საწყობში აკლდება წიგნები. საწყობის გასაღებს ისევ გამოსაჩენ ადგილზე ტოვებს, რადგან ქურდობა ვერ წარმოუდგენია. დანაკლისის დასაფარავად ხელფასს ტოვებს და მთელი თვე მშიერი რჩება.

უცოლშვილოა, მაგრამ სოფლიდან ჩამოყვანილ მეზობლის უდედმამო ჩვილს, ტასიკოს ზრდის.

ოჯახდება. სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი აჩარებს: თამარი, ნინო, გიორგი, ქეთინო, მაგრამ სიხარული ქრება: ვაჟი ხელიდან ეცლება.

გოგონები ისე იზრდებიან, ოჯახში მამის სიტყვა თითქმის არ ესმით. სადილად დროზე მოდის, მოკლედ ამბობს, ვინ შეხვდა, იმას კი არ ყვება, ვინ რა უთხრა, ბევრს კითხულობს.

ყველაზე მეტად ვაჟა უყვარს, სიკვდილის წინაც ერთად იყვნენ, უკანასკნელად შიომ დაალევინა წყალი.

შიო არაგვისპირელი მისი უახლოესი მეგობარია. ხშირად სტუმრობენ მასთან გალაკტიონი, გიორგი ქუჩიშვილი; გოგონები მათ საუბარს ისმენენ, ბევრს კითხულობენ, ნავთის გაჭირვებაა, ამიტომ ადრე წვებიან და ლამპას აქრობენ. ყველა რომ დაიძინებს, ნინო ხელახლა ანთებს და კითხულობს.

ქეთინო პირველ სკოლაში დადის. რუსულის მასწავლებელი მის სამდურავსეუბნება მამას. შიო შინ ბრუნდება და ქეთინოსათვის „ანა კარენინა“ მოაქვს. თუმცა ჯერ ადრეა მისთვის, მაგრამ მამის ხერხი ჭრის: ქეთინო სულმოუთქმელად კითხულობს და ახალ წიგნს ითხოვს.

ქალიშვილები დაშოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ. თამარი ინჟინერ-ეკონომისტია, ნინო — ზოოტექნიკოსი, ქეთინო — ფილოლოგი.

მამა აღარა ჰყავთ. თავიანთი ხელფასით ინახავენ თავს და დედას, სულს უბერავენ მოხუცს.

ნინო რუს კლასიკოსთა ნაწარმოებებს ბრწყინვალედ თარგმნის, ტოლსტოი, დოსტოევსკი, ტურგენევი ქართული მკითხველისათვის დიდი საზრდოა.

სცენაზე იდგმება ქეთევანის პიესები: „კონკია“, „ზამთრის ზღაპარი“, „გოგო ხოხესია“. იბეჭდება მისი ლექსები, მოთხრობები, გამოდის წიგნები.

...გადის წლები. ქეთევანი მარტო რჩება. ცხოვრების უკუღმართობამ იგი ერთოთახიან ნაქირავებ ბინაში მოახვედრა. ოთახს კარი არა აქვს

და პატარა შესასვლელიდან ფარდა უნდა გადასწიო, რომ ერთი საწოლი, ძიოსდროინდელი ორი კარადა, მაგიდა და წიგნები დაინახო. კედელზე ოჯახის წევრთა სურათებია და მარტოობისას მათთან თავისუფლად შეიძლება საუბარი...

ოთახში ცივა. მაცივარი ცარიელია. მომხედავი არავინაა, თუ ხანდახან არ შემოჰყო თავი მეზობელმა და პური არ შემოიტანა. მაგრამ მთავარი ხომ სულია და რომ არ შეგვაწუხოს მძიმე განწყობამ, მე ვუყვები ჩემს პირველ მძაფრ შთაბეჭდილებებზე შორეული ბავშვობიდან.

— შიო მღვიმელის ქუჩაზე ვცხოვრობ. ზამთარია, ცივა. ვზივარ ფანჯარასთან და გარეთ ვიცქირები. შავცხენებიანი საზიდარი აწყდება ფანჯრებს. ცხენები ფლოქვებს სცემენ და ხესტოებიდან ორთქლს უშვებენ. ზღაპარი ამიცხადდა. ცხენებმა წრე შემოხაზეს და გაუჩინარდნენ.

„ძია შიოს ასაფლავებენ, შენ რომ იცი „მერცხლის სიმღერა“, „ჩემი დედოფალა“, — ამ ლექსების დამწერს, შიო მღვიმელს, — მეუბნება დედა, როცა ოთახში შემოდის...

მაშინ, სამი წლისას არ მესმოდა, რა იყო დასაფლავება.

მერე ვეკითხები ქალბატონ ქეთევანს — როგორი იყო მამა შინ, თავისიანებში.

— ჩუმი, ძალიან ჩუმი. ორ სიტყვას არ იტყოდა. თითქმის არაფერი ვიცი მის ბავშვობაზე, ახალგაზრდობაზე, იმ წლებზე, ჩვენამდე რომ გაატარა და მერეც, თუ რაიმე შეემთხვეოდა, ან მისი მეგობრებისგან ვიგებდით ან ძალით ამოვადგმევინებდით ენას. დავიწყე მოგონებების წერა მამაზე, ამით ვუძლებ გაუსაძლისს, ნესტს, უსინათლობას, უპატრონობას. ასი გვერდი დავწერე, გამოვიყენე სხვების ნათქვამი, გაგონილი თუ დაწერილი. ხშირად, ძალიან ხშირად ვხედავ მამას. ზოგჯერ მგონია, კარს აკაკუნებს ან ფანჯარასთან მოდის და მიყურებს, ვეცოდები...

ვთხოვ, წამიკითხოს ნაწყვეტი ამ მოგონებიდან, მითუმეტეს, იმედი არა მაქვს, რომ მალე დაუბეჭდონ.

სიამოვნებით მთანხმდება.

„მამა! ტყუილად დამიწყებ ძებნას შიო მღვიმელზე. მე ახლა კოსტავას 60-ში, დაქირავებულ ბინაში ვცხოვრობ. ჩემს წინ ხესავით მაღალი ბროწეული დგას. ვაზი აუყვანიათ ზემო სართულზე, მიწამდე ჩამოკონწიალებული ტოტი ფანჯარას ეხეთქება და ამიტომ ზოგჯერ მგონია, ვილაცაა, მეტადრე საღამოთი, როცა ბინდი აბნელებს სარკმელს. გრძელო ლერწი აქეთ-იქით ხელისგულებივით გაშლილი ფოთლებით ადამიანის სხეულსა ჰგავს და მეშინია. ცოტა მოშორებით ეზოში შენ დგეხარ დაფიქრებული და ვერ გადაგიწყვეტია, შემოხვიდე თუ არ შემოხვიდე ჩემთან.

მე ვიყურები იქითკენ, სადაც შენ მეგულები. ხომ ვიცი, ხის ჩრდილი მატყუებს, მაგრამ ეს ტყუილი ისე ტკბილია და ისე მჭირდება, სულმოუთქმელად ვებღაუჭები. როგორ მინდა, ერთი დღე მაინც — დილიდან საღამომდე დარჩე ჩემთან. მე ყველაფერს გიამბობ, რაც შენთვის ახალი და მოულოდნელი იქნება. შენ ხელს გამოსწევ და ჩემს, უკვე დაბერებულ და გამხდარ ხელს დაადებ. მე ჩაგახედებ ჩემს ცხოვრებაში, რომელიც ცხოვრებას აღარა ჰგავს. შენ მეტყვი, როგორ გავატარო დარჩენილი დღეები, თვეები თუ წლები, როგორ დავიჭირო თავი ხალხთან. შენ გგონია ყურადღებას ვთხოულობ? ამისი არც უფლება მაქვს და არც სურვილი. მე გაჩუმებული, უსიტყვოდ მივდევ დროს.

შენს წერილებს ვკითხულობ. შეიძლება ითქვას, სულ შენს გვერდითა ვარ. ამ წერილებს სიამოვნებაც მოაქვს ჩემთვის და უსიამოვნებაც. მეტყვი, სულაც ხელი არ მეხლო. წინათაც წამიკითხავს ეს წერილები, მაგრამ მაშინ ჩვეულებრივ წერილებად მომეჩვენა, ახლა კი ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი ისე ახლობელია ჩემთვის, თითქოს შენ კი არა, მე ვწერ ამ წერილებს“...

კითხვას წყვეტს და სინანულს ამბობს წუთისოფელზე. იმ ქვეყნად, მამასთან წასვლა უნდა, მაგრამ მშობელი ნებას არ აძლევს და თვითონ მოდის. მოხუცი მამა დგას სარკმელთან და თავის ლექსს უკითხავს, რა არის ეს? სულის გამოცხადება თუ... ლექსის დაბრუნება?!

**ლია კაკაბაძე**

# საჭიროა მცირე „მსხვერპლი“

თუ გსურთ მოიცილოთ ზედმეტი წონა — მაქსიმალურად გამოიყენეთ ბოსტნეულითა დ ხილით ყველაზე მდიდარი ზაფხული და შემოდგომა.

რჩევა პირველი: არავითარი შიმშილი! არც დამაუძლურებელი დიეტა. საჭიროა მხოლოდ სწორი და გონივრული კვება; ცოტ-ცოტა, დღეში 8-4-ჯერ. ბოლო კვება არა უგვიანეს საღამოს 7 საათისა. გაზარდეთ სითხის მიღება წვენების სახით, დღეში 1,5 ლიტრამდე.

მეორე: ჩართეთ მენიუში სტაფილო, პომიდორი, მჟაუნა, სალათი, ისპანახი, გარგარი, მწვანე ხახვი, რომლებიც მდიდარია „ა“ ვიტამინით და ამაგრებს ძვლებს, კარგად მოქმედებს მეხსიერებაზე და კანზე. მიირთვით მწვანე ლობიო, ცერცვი, ბარდა. ესენი შეიცავენ „$ბ_1$“ ვიტამინს, რაც დადებითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე და ხსნის დაღლილობას.

ვიტამინი „ც“-თი მდიდარია კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, თალგამი, ბოლოკი, კამა, ოხრახუში, ჭინჭარი, ასკილი, მარწყვი, ხენდრო, ვაშლი (განსაკუთრებით „ანტონოვკა“) და ლიმონი.

მესამე: არ შეიძლება მხოლოდ ხილზე და ბოსტნეულზე გადასვლა. სწორი კვებისა და ბალანსირებული რეჟიმისათვის აუცილებელია ხორცი, თევზი, კვერცხი, რძის პროდუქტები და მცირეოდენი პურიც კი.

დაივიწყეთ ტკბილეული, ნამცხვარი, ლვეზელი, მწარე და ცხიმიანი კერძები.

ყველა დიასახლისი უნდა ზრუნავდეს ააშოროს ნიტრატები ოჯახს. ნიტრატებს კი მეტ-ნაკლებად ყველა ბოსტნეული და ხილი შეიცავს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ნიტრატებს შედარებით მცირე რაოდენობით შეიცავს თავიანი ხახვი, მჟაუნა, ბრიუსელის ჯიშის კომბოსტო, შედარებით მეტს — თალგამი, ბოლოკი, თეთრთავა, ყვავილოვანი კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი, ოხრახუში, ნიახური და სხვა. ამიტომ, ბოსტნეულში ცოტათი მაინც რომ შევამციროთ ნიტრატები, საჭიროა, რამდენიმე წუთი გავაჩეროთ გამდინარე წყალში, შემდეგ კი გავთალოთ. სტაფილოს, ჭარხალს და კომბოსტოს აუცილებლად უნდა ამოეცალოს გული.

ცნობილია, რომ ხარშვისას ნიტრატების ნაწილი გადადის ნახარშში, ამიტომ ხარშვიდან 10 წუთის შემდეგ სასურველია პირველი ნახარში წყლის გადაღვრა. მოშუშულ პროდუქტებში კი ნიტრატები თითქმის არ მცირდება. დამჟავებულ ბოსტნეულში ნიტრატების თითქმის 70% იკარგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განგაშის ზარი

# პროსტიტუცია გვიტევს



სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია — დღეს საქართველოში მეძავთა და უპატრონოთა მოზღვავებაა. მეძავობა იატაკქვეშეთიდან ამოვიდა, გამიშვლდა და საზოგადოებას კეთრივით დააჩნდა.

პროსტიტუცია სწრაფად ყალიბდება, გაჩნდა პრიტონები პრესტიჟულ რაიონებში — ვაკეში, საბურთალოზე, მთაწმინდაზე. იქ დადიან უცხოელები და შეძლებული ქართველები.

თბილისში ბევრგან გაიხსნა ღამის ბარები, სადაც მომსახურე პერსონალი გოგონებია, ზოგან ისინი სხვაგვარ მომსახურებასაც კისრულობენ..

ფაქტია, რომ სექსბიზნესი თანდათან ძლიერდება მთელი თავისი სექსინდუსტრიითა და იერარქიული საფეხურებით. გაჩნდა ახალი პროფესიები: სუტენიორი — იგივე „მამაშა“. სუტენიორი ქალები და კაცები. ისინი მეძავებს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში კრებენ თურქეთში „სამუშაოდ“ ან გასაყიდად და როგორც ამბობენ, თბილისში აქტიურად მუშაობენ სექსბიზნესის კაცები.

გაჩნდა „საგზაო სექსბიზნესიც“. ეს ის სამსახურია, რომელიც მანქანით მიმავალ უცხოელებს მეძავებს სთავაზობს.

ეს საერთო უბედურებაა. იქმნება საბედისწერო რგოლი. პროსტიტუცია, ნარკომანია, შიდსი, ვენერიული დაავადებანი. რა ელოდება მომავალში ასეთ პატარა ქვეყანას, რატომ ვდუმვართ? დროა, შემოვკრათ განგაშის ზარი.

ქართველი ქალი და მეძავი? — ალბათ საფლავებიდან შეგვაჩვენებენ ჩვენი წინაპარი მანდილოსნები, თუნდაც შუშან დედოფალი, რომელმაც ხაზართა რძლობას სიკვდილი ამჯობინა და როცა საქართველოდან გაჰყავდათ, დარიალის ხეობაში თავი მოიწამლა. რამდენმა ძალით ღირსებააყრილმა ქართველმა ქალმა მოისწრაფა სიცოცხლე.

ცნობილია, მთელს მუსულმანურ სამყაროში მრავალი წარჩინებული ცდილობდა ქართველი ქალის შერთვას. ისინი მარტო თავიანი სიტურფითა და კდემამოსილებით როდი ფასობდნენ ძვირად, სიწმინდისა და ზნეობის დამცველმა ქალებმა დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭეს ყველგან.

ახლა კი რაღა არ ხდება, რაღა არ იწერება, რა ციფრები და სტატისტიკაა ქართველ მეძავზე.

მეძავი ქალების უმეტესობა თავისი ზნეობრივი დაცემის მიზეზად ასახელებს უკიდურეს გაჭირვებას, უმუშევრობას. ამიტომ გამოდიან სამუშაოდ ქუჩაში და მიდიან თურქეთში.

თურქეთში ჩასული მეძავი ერთი კლიენტის მომსახურებისას იღებს 50-დან 100 დოლარამდე. აქ კი ღარიბი ქვეყნის მამაკაცები ძალიან იაფად, 10-დან 30 ლარად ქირაობენ ქალებს.

პრესაში დიდი ხანია ხმაურობს შემზარავი ამბავი, რომ 40 წლის ქალმა თავის 16 წლის ქალიშვილი იახლა და სამეძაოდ თურქეთს მიაშურა...

მეძავობაში ჩართული ნორჩი გოგონები, უმეტესად უპატრონო ან ღარიბი ოჯახის შვილები არიან. ამ გზით ნაშოვნი ფულით ისინი თავიანთ ოჯახებსაც კი ეხმარებიან. ზოგიერთი მათგანი მშობელთა შორის სოციალურ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტებს გაურბის და ქუჩაში გადის. ამ კატეგორიის გოგონათა უმეტესობა პოტენციური მეძავია.

ამგვარი ზნედაცემულობის მთავარ მიზეზად სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ მდგომარეობას თვლიან.

**ინტერვიუ თემურ კობალაძესთან — სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს თბილისის რეგიონალური განყოფილების უფროსთან:**

**— ბატონო თემურ, როგორ ებრძვით პროსტიტუციას თქვენს რეგიონში?**

— პროსტიტუციასთან ბრძოლის სისტემა საქართველოში არ არსებობს, რადგან სისხლის სამართლის კოდექსში არ არის ამკრძალავი ან დამსჯელი მუხლი. საკუთარი სხეულით მოვაჭრეს ვერც კი ვაჯარიმებთ.

ხმები, თითქოს მატარებლების სადგურის მიდამოებში პროსტიტუციას ჰქონდეს ადგილი, სინამდვილეს არ შეეფერება. ძველი ვაგონები, რომლებიც გაჩერებულია სადგურის ტერიტორიაზე, იმდენად მოძველებული და დამტვრეულია, რომ იქ ბუნაგების მოწყობა შეუძლებელია. გარდა ამისა, მატარებლით ღარიბი ხალხი მგზავრობს და მეძავებიც ნაკლებად ეტანებიან.

რაც შეეხება სადგურის ტერიტორიაზე „მომუშავე“ მაწანწალა ბავშვებს ან პატარა მეძავებს, თუ მშობლები ჰყავთ, იმათ ვაბარებთ, თუ არა და გლდანის ბავშვთა მიმღებ-გამანაწილებელში გადაგვყავს. ამ ორ თვეში 14 ბავშვი ჩავაბარეთ.

ადრე, როცა მეძავს დავაკავებდით, მაშინვე ქალაქის ვენდისპანსერში გადაგვყავდა. იქ ადგენდნენ მის სოციალურ მდგომარეობას, ეროვნებას, ასაკს და 21 დღე არ უშვებდნენ, მკურნალობდნენ. დღეს ეს მოიშალა და ყველაფერი ფასიანი გახდა. მეძავის გადაყვანა-მკურნალობას 60 ლარი სჭირდება, ჩვენ ეს თანხები არ გაგვაჩნია, მით უფრო, პაციენტს არა აქვს ფული. ამიტომ ამ რგოლის მოშლამ, შეიძლება ვენერიულ დაავადებათა აფეთქება გამოიწვიოს, რაც მძიმე შედეგებით დამთავრდება.

**— ბატონო თემურ, თქვენს სამოქმედო ობიექტზე სრულად ფლობთ თუ არა სიტუაციას?**

— ჩვენი კოლექტივი (120 კაცი) სიტუაციას ნამდვილად ფლობს. ოთხი წელიწადია აქ ვმუშაობ, ამ ხნის მანძილზე 500 დამნაშავე ავიყვანეთ და მეძავი ქალები რას დაგვაკლებენ. მინდა საყვედური შემოგბედოთ. გული შემტკივა ახალგაზრდებზე, იზრდება ნარკომანია, პროსტიტუცია, შიდსის საშიშროება და ამაში ჟურნალ-გაზეთები და ტელევიზია სცოდავენ: (თუმცა თქვენს ჟურნალს ეს არ ეხება) სექსის ამ დოზით ჩვენება და უხამსი ფო-

ტოები კარგს არაფერს მოიტანს, აქედან უნდა დავიწყოთ პროსტიტუციასთან ბრძოლა.

**ინტერვიუ ე. წ. „ელიტარული მეძავის“ მეზობელთან:**

**— ქალბატონო კლარა, თქვენი ლამაზი მეზობელი დაკარგული რომ გეგონათ, ამბობენ ჩამოვიდაო.**

— დიახ, რვა თვე წასული იყო, ორი კვირის წინ თურქეთიდან დაბრუნდა. ჩვენ მართლა დაკარგული გვეგონა, ოჯახს კი ყველაფერი სცოდნია, თურმე მისგან ფულსა და ამანათებს იღებდნენ.

**— როგორი ქალია?**

— ძალიან ლამაზი. 30 წლის ქმარ-შვილიანი ქალია. როგორც შევიტყვეთ, დიდ ბიზნესმენთან „მუშაობდა“, ცხოვრობდა ფეშენებელურ ვილაში, პარტნიორი დიდ ფულს უხდიდა და უცხოეთშიც დაჰყავდა, ღამის ბარებსა და რესტორნებს არ აკლებდა.

ამბობენ, ორი წელიწადი არ გამოუშვებსო ის თურქი. ალბათ ოჯახი ამ ამბავს შეგუებულია, ვინაიდან „დიდებულად“ აცხოვრებს.

მეძავეები ფენებად დაიყვნენ: მაღალი წრე, საშუალო და დაბალი ფენა. მაღალი წრის ქალები უფრო პრესტიჟულ ბუნაგებში „მუშაობენ“, თურქეთშიც ასეა. „ელიტარულ მეძავს“ ერთი მდიდარი თურქი პარტნიორი ჰყავს.

მართალია, დღეს ბევრი ქალი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, ვინაიდან არა აქვთ სამუშაო, არა აქვთ თუნდაც მინიმალური ხელფასი, ცხოვრების ელემენტარული პირობები, ველური კაპიტალიზმის ბრჭყალებში მოქცეული გაუბედურებული ქალები, განსაკუთრებით ახალგაზრდები სიძვის ჭაობში ეფლობიან, ვაი რომ, საშინელ სოციალურ სენს ღრმა სოციალური ფესვები აქვს, მაგრამ ამის აღიარება არ კმარა, სახელმწიფომ რაიმე უნდა იღონოს სოციალურად დაუცველ ქალთა მიმართ, თორემ ერის ჯანმრთელობა საფრთხეშია. მეძავობა გაშლილი ფრონტით გვიტევს.

უნდა დავარისხოთ განგაშის ზარები...

ეს ზარები უკვე გაისმის.

წერილი გვინდა დავამთავროთ დავით მჭედლურის ტკივილით სავსე სტრიქონებით:

„დღეს ჩემი სამშობლო მონათა
ბაზარია,
იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ
მონები!
იყიდეთ უმწეო ჩვილები,
იყიდეთ სარეცლის დიაცები“...

ამ საშინელებასთან ბრძოლა ყველა ჩვენგანის ვალია.

**ირმა ჩოფიკაშვილი.**

**• სულის ტკივილი**

# არეულმა ოჯახმა მიმიყვანა აქამდე

**მაია ო. 19 წლის ლამაზი გოგო, გულახდილად მიყვება მისი შემზარავი ცხოვრების შესახებ. იგი, როგორც ახლა ამბობენ, უძველეს პროფესიას მისდევს. ენა ძნელად მიბრუნდება ამის სათქმელად, მაგრამ რას იზამ, მსუბუქი ყოფაქცევის ქალია, ქალი, რომელიც საკუთარი სხეულით ირჩენს თავს. ცოტა გამიკვირდა, როცა საუბარზე ადვილად დამთანხმდა, თუმცა გვარის და ადგილსამყოფლის დამალვა მთხოვა, ეს კარგად მენიშნა. ე. ი. მაინც რცხვენია, მაინც მომავლის იმედი აქვს.**

20816

**— ვინ იყო ის პირველი, ვინც შეგაცდინა, გიყვარდა თუ შემთხვევით მოხდა და შემდეგ ამ ფაქტმა განსაზღვრა შენი ცხოვრება?**

— თხუთმეტი წლის ვიყავი, დედა მესამედ იყო გათხოვილი, მამინაცვალი სახლში არ მიშვებდა, დედა გვეუბნებოდა: თქვენი გულისთვის ოჯახს ხომ ვერ დავანგრევო. ხან რომელ მეზობელთან მეძინა და ხან — რომელთან. მეზობლის თვრამეტი წლის ბიჭი იყო, მათთან ვიყავი შეფარებული. იმ ერთხელ მეტად აღარ გავკარებივარ, შემზიზღდა. შემეშინდა, არავის გავუმხილე, თორემ იქნებ ვეთხოვე, თუმცა რა გასათხოვარი ვიყავი მერვეკლასელი უმწიფარი გოგო. საშინელი სიძულვილი მქონდა ყველასი, ბიჭებს გავურბოდი, ყველა ერთნაირი დაუნდობელი და უნამუსო მეგონა. იმავე წელს გამათხოვეს ქუთაისში. ორი თვე ქმარიც მეზიზღებოდა, მაგრამ თავისი სიკეთით, საქციელით თავი შემაყვარა. ცხრა თვე ვიცხოვრეთ ერთად, ყველაფერი მაპატია, დედამისს უთხრა ქალწული იყოო.

ბედი რომ არ გექნება, ჩემზეა ზედგამოჭრილი, კატასტროფაში მოვყევით, ის დაიღუპა, ოთხი თვის ორსული ვიყავი, აბორტი გავიკეთე სულელმა, ვიფიქრე, იქნებ ბედს ვეწიო-მეთქი და ზედმეტ ბარგად არ მინდოდა ბავშვი, საბოლოოდ დედასთან წამოვედი.

მე-9 კლასის შემდეგ სკოლაში აღარ მივლია.

**... საუბარში ყინული გადნა. ზოგს მე ვეკითხებოდი, ზოგსაც თავად მიყვებოდა. დაუფარავად მიამბობდა საკუთარ თავზე, დედაზე, დებზე, ოჯახზე, მომავალზე, ცხოვრების მიზანზე და ყველაზე მტკივნეულ საკითხებზეც კი.**

... დედა ყველაზე მეტად მიყვარს. ის ძალიან ლამაზი ყოფილა, თელავის ფოტოატელიეში მისი სურათი დღესაც ჰკიდია: მასაც არ გაუმართლა ბედმა, პირველი ქმარი ინვალიდი ჰყოლია. ვერ იტანდა თურმე მასთან ქუჩაში გავლას, ისეთი შეუფერებლები ყოფილან, გამვლელ-გამომვლელი დედას თურმე მუშტრის თვალით უმზერდა; მალე დაცილდნენ ერთმანეთს. ის კაცი დღესაც ცოცხალია, ინვალიდი კი არა, ნამდვილი შემზარავი მახინჯი ყოფილა. ჩემი ორივე და იმისგან ჰყავს, მე — მეორე ქმრისაგან, მამაჩემი ადრე დაიღუპა, დედა მესამედ გათხოვდა და ის ქმარიც მოუკვდა. ერთი და ახლო სოფელშია გათხოვილი, კარგი, პატიოსანი ოჯახის პატრონია, ოთხი შვილი ჰყავს. მეორე დას აერია ცხოვრება, ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, ხშირად მოგვდის უთანხმოება. ტყუილი არ მიყვარს, არასდროს ვცრუობ, არც არაფერი მომიპარავს, თუმცა ცხოვრება საშინლად გვიჭირს. ჩემი და ქმარს რომ გაეყარა, ერთი შვილი იმან წაართვა, მეორე — ოთხი თვისა, უპატრონობით დაელუპა, მესამე ოთხი წლის გოგონა, გააშვილა, თბილისში ცხოვრობს ის ოჯახი, შეძლებული ხალხია, არაფერს აკლებენ; უფროსი ბავშვთა სახლში იზრდება, ხანდახან არდადეგებზე მოგვყავს შინ. ჰო, მართლა, ის გაშვილებული გოგონა ქმრისგან კი არა, მეგობრისაგან ჰყავს. არ ვიცი, იქნებ ფულიც აიღო და მე არ გამიმხილა.

... მინდა, როგორ არ მინდა მეც მქონდეს ნორმალური ოჯახი, მყავდეს შვილები, მაგრამ არ გამომდის, არც დედა მიწყობს ხელს, როცა მოვიწადინებ, სწორედ მაშინ მეშლება ხელი. გადავწყვეტ — დავჯდე სახლში, ვითომ ქალიშვილი ვარ, ბედს ველოდები; შიმშილი, მარტოობა, მოუწყობლობა, საშინელი ოჯახური პირობები ჩემი ცხოვრების თანამგზავრია. თუ ძალიან მოვიწადინე რამე, ნებისყოფა მაქვს. მაგრამ... როცა ქალიშვილი აღარ ვიყავი, თამამად დავიწყე საქეიფოდ სიარული, დროსტარება. იქ, რა თქმა უნდა, ბიჭებიც იყვნენ, ძალადობასაც ჰქონდა ადგილი, ჯერ ვითომ ვუარობდი, მერე თანდათან შევეჩვიე თავისუფალ ცხოვრებას. ახლა იციან როგორიც ვარ და ღამე არ მასვენებენ, კარზე მიკაკუნებენ, ხან რომელ მეზობელთან ვიმალები და ხან რომელთან, მართლაც მთლად ასე ხომ არაა საქმე, ცხოველი ხომ არა ვარ, ბოლოსდაბოლოს. ახლა ყველაფერზე სხვანაირად ვფიქრობ, როცა პირველი შეცდომა მომივიდა, დიდად არ მიდარდია, ალბათ, ოჯახური გარემოც მიწყობდა ამაში ხელს და იმიტომ. სიმართლე რომ გითხრათ, დედაჩემის პირად ცხოვრებაშიც თამამად ვერევი, თუმცა ძნელია, შვილმა მშობლის საქციელი განსაჯოს. ვინ იცის, როდის როგორ უჭირდა და... ერთხელ ერთმა კაცმა საეჭვოდ მოაკითხა დედას, ნასვამი ვიყავი, საშინელი სიტყვებით გავლანძღე და გავაგდე. ის კაცი მერე აღარ გამოჩენილა, ასეთი შემთხვევები სხვა დროსაც ყოფილა.

... რამდენიმე თვის დაქვრივებული ვიყავი, 28 წლის ბიჭმა წამიყვანა ცოლად, მინდა, გამოგასწოროო. მეც დავუჯერე, იმედი მომეცა. ერთი თვის თავზე მითხრა: ჩვიდმეტი ქალიშვილის ცოდვა მადევს, შენ ვინა ხარ ასეთი, რომ შინ გაგაჩეროო. მეც ავდექი და ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე წამოვედი, ან რა მეთქმოდა. მიჭირს ყოველივე ამის გახსენება. ძნელია ჩემთვის ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ბოლომდე გულახდილი ვარ თქვენს წინაშე. ბევრ კაცთან მქონდა კავშირი. ერთი კია, შემთხვევით გაცნობილს არ გავკარებივარ. ყოფილა შემთხვევა, თვეობით დავრჩენილვარ ერთთან, ასაკს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, ოცდაათზე მეტი წლისანი, უფრო მიგებენ, მაცმევენ, მაჭმევენ, სულიერ სიახლოვეს მათთან უფრო ვამყარებ. უმცროსები არ მიზიდავენ. ისინი სხვანაირად ფიქრობენ და იმიტომ. დალევაც მიყვარს, უფრო არაყს ვეტანები. როცა ვთვრები, მამაკაცები მეჯავრება, მინდა ქალებს გავუხსნა გული და ვესაუბრო ჩემი ტანჯული ბედის შესახებ. თხუთმეტი წლიდან ვეწევი, ნარკოტიკების არაფერი გამეგება, რომ არ მოვწიო, აბა რა ვაკეთო. მიყვარს კითხვა, დრო ხომ უნდა მოვკლა, ჯიხურში ვერ დავჯდები, გამვლელ-გამომვლელმა მუშტრის თვალით უნდა დამიწყოს ყურება. მირჩევნია, მშენებლობაზე ვიმუშაო, თუმცა ვერც ამას ვაბამ თავს.

ჩვიდმეტი წლის ვიყავი მაშინ, ერთი „მხედრიონელი" მეგობარი მყავდა, ორივენი კარგა გვარიანი ნასვამები ვიყავით, ავარიაში მოვყევით. ცოლ-შვილიანი იყო და ოჯახს რომ არ გაეგო, ლამის მთელი „მხედრიონი" თავს დაგვეხვია, უამრავი ფული დაგვახარჯეს, მაშინ ელენთა ამომკვეთეს, ძლივს გადამარჩინეს. ახლა ვფიქრობ, ნეტავ არ გადავრჩენილიყავი-მეთქი, ისე მომბეზრდა ასეთი ცხოვრება.

... ათასნაირი საშიშროება გვემუქრება ჩემნაირ ქალებს — ვენერიული დაავადებები, შიდსი. როცა გაზეთს ვკითხულობ ან ტელევიზიით ვისმენ ამაზე გადაცემას, პირდაპირ მზარავს, ვფრთხილობ. ბედი მწყალობს ჯერჯერობით, ამ მძიმე სენისგან რომ მიხსნა. ხშირად ვიმოწმებ ჯანმრთელობას, რუსთავში ერთი გულშემატკივარი ქალი მყავს და ის მპატრონობს, დედაზე მეტი ამაგი აქვს ჩემზე. კარგი გრძნობაა, ვინმესთან რომ მიგესვლება, გულშემატკივართან.

... დედამ, ჩვენმა არეულმა ოჯახმა მიმიყვანა ამ მდგომარეობამდე, დედამ მეტად უნდა მოიცალოს შვილებისათვის, ამაზე დიდი, საპატიო და საპასუხისმგებლო საქმე რა უნდა ჰქონდეს ქალს. ზემოთაც მოგახსენეთ, მამინაცვალმა ახლოს არ გამიკარა, გაბრაზებულმა თოთხმეტი წლის გოგონას თავში ხორცის საკეპი მანქანა ჩამარტყა და სახლიდან დამითხოვა, იქედან დაიწყო ჩემი უბედურება. დანარჩენი თავად განსაჯოს მკითხველმა, განაჩენიც გამოგვიტანოს მე და დედაჩემს.

—:—

... დიახ, მეც ამ გზააბნეული, უბედური ქალის ამბავი იმიტომ გამოვიტანე თქვენს სამსჯავროზე, რომ დაფიქრდეთ, რა უბიძგებს ზოგჯერ უმანკო გოგონას ამ საძრახისი საქციელისკენ.

იქნებ ჩვენც, საზოგაოებასაც მიგვიძღვის რაღაც ბრალი ამ უკუღმართ ბედის ტრიალში?

თქვენ რას იტყვით, მკითხველო!

**ნანული ბუკია**

# საყმაწვილო საკითხავი

ცირა ქიტიაშვილი

## წამოდი

წამოდი მთაში, ბარში წამოდი,
მოგხიბლოს შენი კარ-მიდამოთი,
ნახე ტაძრები, ციხე და მღვიმე,
მწიფე თავკვერი, თავთუხი მძიმე.
ყველა შენია, ყველა შენია,
ყველა შენია, შენი ჭირიმე!
ცას შებჯენია თავ-თეთრი მთები,
ბარს ბაღ-ვენახის სილურჯე შვენის,
კლდეს ჩანჩქერებმა შეასხეს ფრთები:
ეს სამშობლოა ჩემი და შენი.
დაიჭახჭახებს ტყეებში შაშვი...
გაოცებული შეგხედავს შველი...
ათასფრად ელავს კალმახი წყალში...
ეს სამშობლოა ჩემი და შენი.
გახსოვდეს მისი მწარე წარსული,
მშფოთვარე აწმყო წრეგადასული,
ელტვოდა მხოლოდ მომავალს კეთილს.
მაშინ, ჩვენ მისი შვილობა გვეთქმის.
გულქვაობაა დაუნდობელი,
გულქვას არა ჰყავს არსად მშობელი.
გულს სიყვარულის ცრემლი სწყურია,
ხარობს იქ, სადაც შინაურია,
წამოდი მთაში, ბარში წამოდი,
მოგხიბლოს შენი კარ-მიდამოთი.

## ვაშა, ჩიტები!

— ჩემი ჩიტები მოფრინდნენ
თქვენ ნუ გგონიათ სხვებია,
კარებზე მიკაკუნებენ,
ფანჯრის რაფაზე სხდებიან.
— იქ ყოფნას შენთან ყოფნა სჯობს, —
სიყვარულს შეფიცებიან,
ხაით იფრინეს,
რა ნახეს,
წვრილ-წვრილად მომიყვებიან,
მერე სიმღერა-ჭიკჭიკით
ქვეყანას მოედებიან.

## წყალობა

წინათ აქ ბიჭი ცხოვრობდა
ერქვა უბრალოდ წყალობა.
გადატკეცოდა ქოჩორი
თითქო ნიკორამ ალოკა.
წყაროს ჩურჩული უყვარდა,
ხეზე ჩიტების გალობა,
უყვარდა თავის ვენახი,
ეჯავრებოდა მთვრალობა.
იმის სიმღერა-თამაშზე
მთელი სოფელი ხარობდა,
კარგი ყმაწვილის გაზრდისთვის
დედას უქებდნენ ქალობას,
დღეს პაპის სახელს იფიცავს
იმ ბიჭის შთამომავლობა.

## ენძელა

არ გააჩინა დღეგრძელად
დედა-ბუნებამ ენძელა,
მაგრამ ყვავილი ქათქათა
საგულდაგულოდ დახატა —
თოვლზე უთეთრეს ფერითა
შეამკო ნათელ მზერითა:
— არც ბუჩქად ვდგავარ,
არც ხედო,
რა სპეტაკი ვარ,
ნახეთო.

## ყვავები

დათალხულები, შავზე შავები
ცოტა ბოროტი, ცოტა ავები,
არ მიფრინავენ არსად ყვავები,
რატომ გადადეს ასე თავები?!
ტანშიშველ ხეებს ქარები არხევს
შეებრალება ყვავები მნახველს,
ყრანტალ-ყრანტალით ხვდებიან
ზამთრებს,
ყვებიან ამბებს, ყვებიან ზღაპრებს.
შესცქერენ ირგვლივ დათოვლილ
სახლებს,
დათოვლილ სახლებს — ძველსა და
ახლებს
დათალხულები, შავზე შავები,
რად არ გვტოვებენ, ნეტავ, ყვავები.

# ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, თქვენც უთუოდ გამოგადგებათ

ადამიანს თუ თავის ქალა შეუთამაშდეს, ყველასაგან იქნება შეყვარებული, სიდიდეს შეხვდება, დიდი კაცისაგან პატივს მიიღებს, გზას წავა, ისარგებლებს და გაიხარებს.

თუ კისერი შეუთამაშდეს, განთავისუფლდეს ცუდი საქმისაგან და შეწუხებისაგან.

თუ თავის მარჯვენა მხარე შეუთამაშდეს, რაც სძულდეს, შეიყვაროს, გრძელ გზას წავიდეს და მშვიდობით დაბრუნდეს. თუ თავის მარცხენა მხარე შეუთამაშდეს, თავისი უფროსებისაგან დიდი სიკეთე მიიღოს. თუ თავის ზემო მხარემ შეუთამაშოს, უცხო რამეს გაიგებს.

თუ შუბლი შეუთამაშდეს, განძს იპოვის ან მოგვარისაგან ქონებას მიიღებს.

თუ მარჯვენა წარბი შეუთამაშდეს, დაკარგულს იპოვის, თუ მარცხენა — სიკეთეს შეხვდება ან ავად გახდება. თუ წარბებს შუა ალაგი შეუთამაშდეს, ცუდ ამბავს გაიგებს.

თუ მარჯვენა თვალის წამწამი შეუთამაშდეს, შეწუხდება და იტირებს, მაგრამ ბოლო კეთილია. თუ მარცხენა თვალის წამწამი შეუთამაშდეს, რასაც ინატრებს — აუსრულდება და ძლიერ გაიხარებს. თუ მარჯვენა თვალმა მთლიანად შეითამაშა, გაჭირვებას ნახავს, მაგრამ ბოლოს გაიხარებს. თუ მარცხენამ — ავად გახდება, მაგრამ მალე მორჩება.

თუ მარჯვენა ხელის ცერი შეუთამაშოს, კრივსა და შფოთს შეხვდეს, რომელიც არ ენდომება, მაგრამ კარგად გადარჩეს. თუ მარცხენამ — ზარალი მიიღოს მტრისაგან, მაგრამ მალე ალიდგინოს დანაკარგი. თუ მთელი ცხვირის წვერი შეუთამაშდეს, ვალებისაგან განთავისუფლდეს და გამდიდრდეს.

თუ მარჯვენა ხელის გული შეუთამაშდეს, კეთილ საქმეს შეხვდეს, თუ მარცხენა — არეულობას შეხვდეს ოჯახში.

თუ ცხვირის მარჯვენა მხარემ შეუთამაშდეს, დიდი კაცისაგან საჩუქარი მიიღოს. კეთილი ილაპარაკონ მასზე, მისით გაიხაროს გვარეულობამ. თუ მარცხენა ხელის ცერი შეუთამაშდეს, მასზე ტყუილი ილაპარაკონ, ცილი დასწამონ, მაგრამ ბოლოს ყველაფერი გაირკვეს და სურვილი შეუსრულდეს.

ძველი ქართული წყაროებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲓᲦᲔᲘᲡ ᲭᲘᲓᲘᲚᲨᲘ



პირველად იგი ტელევიზორის ეკრანზე ვნახე, — მომხიბლავი და მშვენიერი. უკრავდა, მღეროდა, კითხულობდა საკუთარ ლექსებს, ასრულებდა პაროდიებს. ერთი სიტყვით, ეს მიმზიდველი და მოხდენილი ქალიშვილი მსახიობის მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ტალანტად აღვიქვი.

შთაბეჭდილება გამიორკეცდა, როცა შევიტყვე, რომ იგი ვაკის რაიონის პროკურორის თანაშემწე ყოფილა.

ია ყიფიანი თვლის, რომ მისი ცხოვრება თავიდანვე კურიოზებით დაიწყო.

ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის მეოთხე საშუალო სკოლის ოქროს მედალოსანი 1983 წელს მშობლებისა და ახლობლების გასაოცრად (დარწმუნებულები იმაში, რომ ია აუცილებლად მსახიობი უნდა გამოსულიყო) იცვლის გადაწყვეტილებას და თავის დასთან ერთად უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შეიტანს განცხადებას.

მესამე კურსიდან ლენინური სტიპენდიატია. გამორჩეულია არა მარტო სწავლაში. იგი მაშინდელი უნივერსიტეტის შემოქმედებითი ცხოვრების აქტიური მონაწილეა. ხშირად იწვევენ სატელევიზიო გადაცემებში.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ისნის რაიონის პროკურატურაში სტაჟიორ-გამომძიებლად იწყებს მუშაობას. ერთი წლის შემდეგ კი ვაკის რაიონში გადმოიყვანენ გამომძიებლად, 1994 წლიდან პროკურორის თანაშემწეა.

აქ ძირითადად არასრულწლოვანთა საქმეების გამოძიებისა და საგამომძიებლო დეპარტამენტის ვაკის რაიონის განყოფილებაში არასრულწლოვანთა საქმეებზე ზედამხედველობას კურირებს.

როცა ჩვენი საუბარი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას შეეხო, ჩემს წინ საკმაოდ გამოცდილი, საკუთარი ხედვისა და მრწამსის მქონე ახალგაზრდა პროფესიონალი იჯდა, რომელსაც თამამად შეიძლება ენდო.

საუბრისას არა ერთ და ორ მტკივნეულ პრობლემას შეეხო. გულისტკივილი გამოთქვა იმის გამო, რომ ზოგჯერ მათი პროფესიის ადამიანებს დაუმსახურებელ და დამახინჯებულ იარლიყს მიაკერებენ ხოლმე. ზოგს ჰგონია, რომ ისინი მხოლოდ კანონებს ამოფარებული გულცივი ხალხია. იმაზე კი ცოტა თუ დაფიქრებულა, როცა საქმე ორ მოდავე მხარეს შორის იხილება, აქ არ შეიძლება ორივე მხარე ერთნაირად კმაყოფილი დარჩეს.

— ამიტომ იურისტის პროფესია, — დასძენს ია, — საპატიოსთან ერთად საპასუხისმგებლოც არის, რადგან აქ დაშვებული შეცდომა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ვაკის რაიონი, სადაც ია ყიფიანი მუშაობს, სპეციფიკური რაიონია, განსაკუთრებით არასრულწლოვანებისა და მათ დანაშაულებრივ ქმედებების თვალსაზრისით. აქ მისი მოვალეობა მხოლოდ გამოძიებაზე ზედამხედველობით როდი შემოიფარგლება, მისი უშუალო საზრუნავია ძნელად აღსაზრდელი მოზარდების გამოვლენა, პროფილაქტიკური მუშაობა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ან არასრულწლოვანთა, რომელთაც უკვე ჩაიდინეს დანაშაული და მიესაჯათ, აღრიცხვაზე აყვანა, მათთან მუდმივი მუშაობა. რთული, ზოგჯერ უმადური, მაგრამ საჭირო მუშაობა.

ბოლო ორი წელია გამგეობასთან არასრულწლოვანთა საქმეების მუდმივი კომისია შეიქმნა, რომელთა შემადგენლობაში შედის პოლიციის თანამშრომელი, გამგეობის წარმომადგენელი, ფსიქოლოგი, პედაგოგი და სასულიერო პირი. ამ კომისიის ნორმალური ფუნქციონირება ია ყიფიანის უშუალო საქმეა. მათი ერთობლივი მუშაობით თერთმეტი მოზარდი ასცდა უკუღმართ გზას.

ია შეშფოთებულია იმის გამოც, რომ ეჭვმიტანილი ან ბრალდებული მოზარდი არ არის იზოლირებული წინასწარი დაკითხვის საკანში სხვა ასაკის დამნაშავეთაგან, არავითარი ნორმით არ რეგულირდება მათი იზოლაცია პატიმრობის პირობებში. ამან კი შეიძლება ახალი დანაშაულისკენ უბიძგოს მოზარდს.

ახალგაზრდა იურისტის აზრი სხვა მხრივაც საყურადღებოა. იგი თვლის, რომ სამართლებრივი ნორმით უნდა მოწესრიგდეს თითოეული სამართალდამცავი ორგანოს საქმიანობა და ასევე ნორმების დაცვით უნდა მოხდეს მათი ფუნქციების გამიჯვნა, რათა მოსახლეობის მცდარი აზრი არ შემუშავდეს პროკურატურისათვის ფუნქციების ჩამორთმევის ან მისი არ არსებობის თაობაზე; ასევე მიუღებლად მიაჩნია უცხოური კანონების ქართული სპეციფიკის გაუთვალისწინებლად თითქმის ბრმად გადმოღება.

ია ყიფიანს არც ჟურნალისტებთან ურთიერთდამოკიდებულება გამორჩენია მხედველობიდან. აღნიშნა, რომ ძალიან აფასებს ჟურნალისტებს, დიდ სიამოვნებას ანიჭებს მათთან კონტაქტები, მაგრამ გამართლებას ვერ უძებნის ზოგი მათგანის ცინიკურ, ირონიულ, ხშირად დაუსაბუთებელ გამოხტომას ყველასაგან პატივცემული და დამსახურებული ადამიანების მიმართ, რომლებიც, ამინდს ქმნიან როგორც სამართალდამცავი ორგანოების, ისე სხვა დარგების მუშაობაში. დაუსჯელობის იმედით გათამამებული ზოგი გათავხედებული ჟურნალისტისათვის ასეთი ქმედება, ადამიანის ღირსების შელახვა თითქმის ჰობად და თავმოსაწონებელ პოზად იქცა.

ია ყიფიანის პორტრეტის სრულყოფილი გადმოცემისათვის დავძენ, ადამიანებთან ურთიერთობაში იგი გახსნილი და უკომპლექსოა, ლაღი იუმორით და ხალასი ბუნებით. თავისი უცნაური ხასიათიდან გამომდინარე, როგორც იამ მიამბო, კურიოზები მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია. უნდა ნახოთ და მოუსმინოთ, როგორი შინაგანი არტისტიზმით ჰყვება თითოეულ მათგანზე:

— შინაურები მოფერებითა და სიყვარულით კუსუნასაც მეძახიან, — მიამბობს ია. — ჰოდა, ერთხელ, როდესაც გატაცების საქმეს ვიძიებდი და დაკითხვაზე მყავდა ბრალდებული, შემოვიდა თანამშრომელი და კუსუნათი მომმართა, ასევე მოიქცა მეორეც. კარადისკენ შებრუნებულს მესმის მეათეკლასელი „გამტაცებლის“ ხმა: — ქალბატონო კუსუნა, სად მოვაწეროთ ხელი?

ვიფიქრე, ხომ არ ოხუნჯობს-მეთქი, მაგრამ რომ შევატყვე მსგავსი არაფერი იყო, ჩვეულებრივ მივუთითე ხელისმოსაწერ ადგილზე.

წუთიც და ოთახში პროკურორი შემოვიდა და ჩვეულებრივი სახელით მომმართა. უნდა გენახათ, რა მოუვიდა საწყალ ბიჭს. ჩემს თვალწინ თითქოს დაპატარავდა და ახალი „განაჩენის“ მოლოდინში შეცბუნებული შემომყურებდა. მე გავუღიმე და ისიც მიხვდა, რომ მეორე სასჯელი ნამდვილად აღარ მოელოდა...

— კიდევ ერთს მოგიყვებით. მიმდინარეობს სასამართლო პროცესი. განსასჯელის სკამზე ზის ახალგაზრდა მხატვარი, რომელიც მძიმე დანაშაულისათვის მკაცრ განაჩენს ელოდება. მე მაშინ პროკურორის მისია მქონდა დაკისრებული. განაჩენის გამოტანამდე პატიმარს გავესაუბრე. საკმაოდ განათლებული ახალგაზრდა იყო, ეტყობოდა, ნანობდა ჩადენილს. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მიმძიმს მკაცრი განაჩენის გამოტანა...

შემდეგ მოსამართლე ეკითხება პატიმარს; — რას აპირებთ, როგორ მოინანიებთ დანაშაულს, როცა აქედან გახვალთ?

— მაშინვე პროკურორის თვალებს დავხატავ, — მიუგო პატიმარმა.

დამცველმა აათვალიერა მსჯავრდადებული, გვერდულად გამოხედა და თითქოს ნიშნისმოგებით მიუგო:

—მაგ თვალები იქნება, შენ ახლა ცამეტ წუთში ცამეტ წელს რომ მოგისჯის...

წუთით პროცესი სპექტაკლს დაემსგავსა.

როგორც ია ამბობს იუმორი, ლექსი და სიმღერა მისი სულის საზრდოა, ლექსი კი ცალკე თემაა ის ბიოგრაფიაში.

— ლექსებს ბავშვობიდან ვწერ. ვწერ სევდაზე, სიხარულზე, სიყვარულზე, ყველაფერზე, რაზეც მეწერება. მკითხველმა განსაჯოს...

ემაყება, რომ საკმაოდ დიდი სამეგობრო ჰყავს და მათთან ყოველი შეხვედრა სიხარულს ანიჭებს.

როცა მის პიროვნებას გაიცნობ, უთუოდ გაგიკვირდება, როგორ მოხდა, რომ ცხოვრების მეგობარი ჯერაც არა ჰყავს ამორჩეული. ამაზეც ხუმრობით პასუხობს:

— ეტყობა, ჩემი რთული ხასიათის გამო, თუმცა თაყვანისმცემლები არასოდეს მკლებია, — და დასძენს, — არც მაგაზე ვდარდობ, აქაც ღმერთს მივენდობი, რაც მოსახდენია, მოხდება; მანამდე კი დღევანდელი დღით ვიცხოვრებ.

„დავფიქრებულვარ და წარსულზე თვალის შევლებით,
მტრედისფერ წყნარი მეჩვენება ჩემი მზის აწმყო...
დღეთა ჭიდილში, წლების თავბრუ კორიანტელში
ტრიალებს წუთი,
დღითი-დღე უხმოდ მიმძლავრდება ცხოვრების
სამწყსო“.

ვერაფერს დავამატებ. საკუთარი ლექსის ბოლო სტრიქონით ია ყიფიანმა ჩემი სათქმელიც მშვენივრად გამოხატა.

**ნუნუ კუპრეიშვილი**



მაღალი მოდის № 1 ქალბატონი

# გაბრიელა შანელი

ისტორია გაბრიელა შანელისა (კოკო შანელი) — ქალისა, რომელმაც მოდაში რევოლუცია მოახდინა და შექმნა ახალი სტილის ტანსაცმელი. ქალი — ახალგაზრდობაში მომხიბლავი და გადარეული, სიბერეში — მკაცრი და ძალაუფლების მოყვარე. მსოფლიოში უმდიდრესი ქალბატონი მეგობრობდა კოკტოს, პიკასოსა და დიაგილევს.

მოგაწვდით ნაკლებადცნობილ ფაქტებს მილიონერი ქალის ცხოვრებიდან.

შანელი თავის წარმოშობის შესახებ შეთხზულ „კეთილშობილ“ ლეგენდას დამაჯერებლად უყვებოდა მეგობრებსა და ჟურნალისტებს. სინამდვილეში ის დაიბადა დავრდომილთა თავშესაფარში. მამა — ბაზრის ვაჭარი, დედა — მზარეული. ოჯახში ოთხი შვილი იზრდებოდა. დედის სიკვდილის შემდეგ გაბრიელა მიაბარეს მონასტერთან არსებულ უპატრონო ბავშვთა სახლში, სადაც 17 წლამდე ცხოვრობდა. იქ ისწავლა კერვა. შანელი არასოდეს ახსენებდა ბავშვთა სახლს.

20 წლის გაბრიელა კოკოდ იქცა. ის ქალაქ მულენაში მაღაზიაში მოეწყო გამყიდველად. ქალაქი სავსე იყო სამხედროებით. მათ მალე შენიშნეს მომხიბვლელი გოგონა და საღამოობით ხშირად პატიჟებდნენ კაფე-შანტანში, სადაც ზოგჯერ მღეროდა. შემდეგ ამ დაწესებულების მეპატრონემ გაბრიელას შესთავაზა ემღერა მოდური სიმღერა — „ყიყლიყო“. ამის შემდეგ საზოგადოება მას ხვდებოდა ყვირილით — „კოკო“, და ეს სახელი სამუდამოდ დაერქვა...

შანელს კარიერის გაკეთებაში დაეხმარა ინგლისელი ბიზნესმენი, ნახშირის საბადოების მფლობელი არტურ

კეიპელი. გაბრიელამ ის 1908 წელს გაიცნო, როცა 26 წლის იყო. კეიპელმა შანელს ურჩია „ქალის ქუდის“ სალონის გახსნა. მალე კოკოს შემკვეთები მაღალი წრის ქალები გახდნენ. შანელის ფირმის ქუდები გამოირჩეოდა მკაცრი სტილითა და ექსცენტრულობით.

შანელის წარმატებას ხელი შეუწყო ომმაც (პირველი მსოფლიო ომი). ჯერ კიდევ ომამდე, 1914 წლის გაზაფხულზე, მოდურ აგარაკზე — ქალაქ დოვილეში გაბრიელამ დიდი მაღაზია გახსნა და მომხმარებელს შესთავაზა ტანსაცმლის პირველი უკორსეტო — თავისუფალი და მოხერხებული მოდელები. მერე ომი დაიწყო. გერმანელები პარიზს უახლოვდებოდნენ, ამიტომ დიდძალი ხალხი მოგროვდა დოვილეში, სადაც მოქმედი სალონი მხოლოდ შანელისა იყო.

ამ დროს შანელის ერთადერთი კონკურენტია პუარეა, ყველაზე მოდური მოდელიორი. მაგრამ მთელი ომის პერიოდში ის ჯარის ტანსაცმელს კერავდა. კოკოს კი სამხედრო პრობლემები არ აინტერესებდა, ახალი სტილის მოდელებს ქმნიდა. თუ პუარეს მოდელები ფუფუნებითა და აქსესუარებით ბრწყინავდა, შანელისა — პირიქით — მკვეთრი ხაზები, უბრალო აქსესუარები და წელზე შემოხვეული შარფი. შემდეგ ეს გახდა „ნომერ პირველი“ მოდელი ევროპაში და ამერიკაში. მანვე გამოიგონა ღამის პიჟამო, შემდეგ შარვალი, რომელსაც მწეველი ქალები იცვამდნენ. შანელმა რევოლუცია მოახდინა მოდაში.

ომის დამთავრების შემდეგ არტურ კეიპელი ინგლისელი ბარონის ქალიშვილზე დაქორწინდა. თუმცა შანელის დატოვება არც უფიქრია, პირიქით, მასთან ერთად უფრო ხშირად გამოდიოდა საზოგადოებაში. 1919 წლის დეკემბერში, კეიპელი ზღვის სანაპიროზე გაემგზავრა ბინის შესაძენად, სადაც ისინი ერთმანეთს შეხვდებოდნენ. მეორე დღეს გაბრიელამ შემზარავი ცნობა მიიღო, კეიპელი ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

შემდეგ შანელი თეატრს დაუკავშირდა. მან შექმნა „ანტიგონეს“ და „ლურჯი ექსპრესის“ კოსტიუმების მოდელები, რომლებსაც კოკტო და დიაგილევი დგამდნენ. ამ სპექტაკლების დეკორაციებს პიკასო ამზადებდა. შანელი მხატვრებით დაინტერესდა და მის სასახლეში დიდხანს ცხოვრობდნენ პიკასო და სტრავინსკი. 20-იან წლებში, როდესაც დიაგილევი ფინანსებს ეძებდა „გაზაფხულის“ დასადგმელად, შანელმა გაუმართა ხელი ერთი პირობით — ეს საიდუმლოდ დარჩებოდა.

1920 წელს შანელის ცხოვრებაში რუსული ეტაპი დაიწყო. ის შეხვდა დიდ თავადს დემეტრეს — ალექსანდრე მესამის შვილიშვილს და ნიკოლოზ მეორის ბიძაშვილს, რომელიც რასპუტინის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის განდევნეს პეტერბურგიდან და რევოლუციის დროს პარიზში აღმოჩნდა. დიდ თავადს არაფერი გააჩნდა ერთი სასახლის გარდა, სადაც ფრანგ მკერავს ღებულობდა. მაშინ დიმიტრი 29 წლის იყო, შანელი — 40-ის. ისინი ერთი წელი იყვნენ ერთად. შანელმა სამუშაოზე მიიღო გალატაკებული გრაფების და თავადების მეუღლეები, ოდესღაც პეტერბურგის სალონებს რომ ამშვენებდნენ.

„შანელი-5“ — სუნამო, რომელმაც უდიდესი სიმდიდრე მოუტანა შანელს, 1920 წელს შეიქმნა. ამბობენ, ეს იდეა თავადმა დიმიტრიმ მიაწოდაო. ეს იყო პირველი სუნამო რთული არომატით. აქამდის იხმარებოდა მხოლოდ უბრალო ყვავილის სურნელი.

გერმანელებისაგან ოკუპირებულ პარიზში შანელმა ახალი რომანი წამოიწყო. კონტრდაზვერვის აგენტი, ბატონი შპატცი მოეწონა, ლამაზი და თავისზე 13 წლით უმცროსი (მაშინ შანელი 56 წლის იქნებოდა).

1943 წელს, როდესაც ჩერჩილმა და რუზველტმა გერმანიისაგან უსიტყვო კაპიტულაცია მოითხოვეს, შანელს ახალი იდეა გაუჩნდა. მან განაცხადა, რომ ჩერჩილს შეხვდებოდა. ისინი ერთმანეთს ადრე იცნობდნენ. ამდენად საქვეყნოდ აღიარებული ქალი თვლიდა, მოახერხებდა „დაუნდობელი მოხუცის“ დაყოლიებას. შპატცის მეგობარი მომმი ბერლინში გაემგზავრა შელენბერგთან შანელის იდეის — ოპერაცია „ქუდის“ განსახორციელებლად. მაგრამ ინგლისის საელჩომ ჩერჩილის ავადმყოფობის მომიზეზებით უარი განაცხადა ამ ოპერაციაზე.

1945 წელს დამნაშავის სკამზე მყოფ შელენბერგს შანელმა გაუგზავნა შობის მილოცვა ხელმოწერით „ქუდი“. 1951 წელს შელენბერგი გაათავისუფლეს და მაშინვე დაუკავშირდა შანელს. ისინი იტალიაში გადავიდნენ საცხოვრებლად. როცა შელენბერგმა გადაწყვიტა მემუარების დაწერა, ამან სერიოზულად შეაშინა შანელი. შემდეგ ახალი უბედურება ატყდა. შანელის შანტაჟი დაიწყო შელენბერგის ლიტერატურულმა აგენტმა და დიდძალი ფული გამოსძალა. ცნობილმა მოდელიორმა პარიზში დაბრუნება 1952 წელს, შელენბერგის გარდაცვალების შემდეგ გაბედა.

კოკო შანელი გარდაიცვალა 88 წლისა. სიბერეში მას ხშირად ხედავდნენ მაკრატლით ხელში, სიზმრებშიც კაბებს კერავდა და ჭრიდა.

# საოჯახო ფინანსები

თუ ადრიანა ბერგს დავუჯერებთ, რომელიც საოჯახო ფინანსების რვა წიგნის ავტორია, მეუღლესთან ფულის თაობაზე მშვიდობიანი მოლაპარაკება შესაძლებელია.

აი, თურმე, როგორ:

1. წარმოიდგინეთ, რომ საქმიანი პარტნიორები ხართ: „შეინარჩუნეთ მშვიდი, საქმიანი ტონი საოჯახო ფინანსების განხილვისას“.

2. არასოდეს ისაუბროთ ფულზე საძინებელ ოთახში: „ფინანსური პრობლემები ნეიტრალურ ტერიტორიაზე მოაგვარეთ, თქვენი ემოციური ცხოვრების მიღმა“.

3. ამ დროს მხოლოდ ფულით შემოიფარგლეთ: „ნუ აამღვრევთ წყალს სხვა პრობლემების ჩართვით“.

4. იცოდეთ: ფულის შესახებ კამათი კონტროლს არ ემორჩილება იმიტომ, რომ ბევრს ვლაპარაკობთ. ეცადეთ, უხმოდ მოუსმინოთ პარტნიორს, შემდეგ კი უთხრათ, რომ მეორე რაუნდზე გადასვლის დროა — ახლა თქვენ ილაპარაკეთ, ის კი წყნარად მოგისმენთ.

5. კომპრომისი: ეცადეთ მორიგდეთ ერთმანეთში, თუ არ გაჰრის, რიგრიგობით გაინაწილეთ „გამარჯვების სიტკბო“: „ამჯერად შენ მაჯობე, შემდგომში კი ჩემი ჯერია“. იქნებ, ეს ჩიხიდან კარგი გამოსავალი იყოს.

6. მიზნად დაისახეთ — იკამათოთ მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის თანხაზე. მორიგდით მინიმალურზე, რაც ხელშეუხებელი დარჩება, დანარჩენზე კი იკამათეთ, ღმერთმა შეგარგოთ.

7. თუ თავად ვერაფერს ახერხებთ, ნათესავი ან მეგობარი დაიხმარეთ. ხოლო თუ საქმე დიდ თანხას ეხება, შეიძლება პროფესიონალიც მოიწვიოთ.

ჟურნალი „ვსემირნიე ნოვოსტი“

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## იამზე ნაცვლიშვილი

## ფერთა ზეიმი

სხვადასხვა ფერებით
მორთულო აპრილო,
მოგეფერები,
ზამთრისგან დაღლილო.
ყლორტები, ტოტები,
კვირტები გამშვენებს
ლამაზ ლექსს გპირდები,
ოცნებებს ვაშენებ.
დახატე, დაქარგე
ბუჩქები, მინდვრები,
საამო სურნელი
მთა-ბარში დაღვარე,
იას მზე აჩუქე,
დაათბე, გაათბე,
ფერების ზეიმი
გამართე, გაგვართე,
ცის სარტყელს
წაართვი
ზღვის ფერი,
ტბის ფერი
გულდია აპრილო,
იამზე გიმღერის.

* * *

ლექსის საწყისში
დუბლბემოლია,
ორი სუნთქვაა,
ორი პიანო,
ერთს მეორესთვის
ჩურჩულით უთქვამს:
„ერთად ვიაროთ,
ერთად ვიაროთ,
ტაძართან მოდი,
დაგელოდები,
იქნება აღარ
დავიგვიანოთ“.

* * *

ბაღის ყვავილებს
გაუჩნდათ დარდი,
ყვავილთა შორის
არ ფასობს ვარდი.

მაისის ვარდი
ხავერდოვანი,
საოცრად ნაზი,
სურნელოვანი.

მინდვრის ყვავილებს,
გაზრდილებს ველად,
ე თ ა ყ ვ ა ნ ე ბ ა
ამ ქვეყნად ყველა.

## ყოჩივარდები მათბობს

ია მამშვიდებს,
ვარდი მახარებს,
იასამანი მათრობს.
თეთრი გვირილა
წარსულს მაგონებს,
მოგონებები მათოვს.
ღიღილოს ხშირად
ხელით ვატარებ,
ყოჩივარდები მათბობს.
ენძელას ნიავს
არ მივაკარებ,
ყაყაჩოები მართობს.
ზამბახის ფერი
ჩემი ფერია,
დედოფალია მინდვრის.
მე გული მწყდება,
როდესაც ქრება,
უჩინარდება, მიდის.
მიხაკის მომწონს
მე ქედმაღლობა,
მოხიბლული ვარ მისით,
ბუნებას ჩემგან
დიდი მადლობა
ამ ლურჯი იებისთვის.

## მამული

ჩემო მამულო,
ფერდაკარგულო,
გადაქანცულო,
გადატანჯულო,
ცრემლებდაღვრილო
და თავდახრილო,
შენზე ვლოცულობ.
იწვის სანთელი,
თქვი, რა გაწუხებს,
თქვი, რა გაწუხებს,
ბოლომდე გვითხარ,
რაც გაქვს სათქმელი.
რამდენ უმადურს
კალთას აფარებ,
გზა ფართოდ გახსენ,
შენგან განვიდეს
იქნებ ეშმაკმა
პირი იბრუნოს,
იქნებ მაცდური
გაქრეს, წავიდეს.
ფუი, ეშმაკსა,
ჯვარი გწერია,
ნეტავ, მამულო,
რა გვიწერია?..
მარჯვნივ მტერია,
მარცხნივ მტერია,
ყველანი ერთად
ფეხთა მტვერია.
სიბრძნეს მოუხმე,
თავი იჩინე,
ძალა ფარული
გამოიჩინე.
მაღალო ღმერთო,
გემუდარები,
ჩვენი მამული
გადაგვირჩინე.

## ცრემლი

ცრემლი მეგობრობს ჩემთან
და მეც ვმეგობრობ ცრემლთან,
მე და ცრემლები ერთად
ხშირად ვსაუბრობთ ღმერთთან.
ზოგჯერ სიხარულს ახლავს,
ზოგჯერ სინანულს, სევდას.
ცრემლი ალმასის თვალს ჰგავს,
როდესაც ცვივა, ვხედავ,
უაზროდ იფანტება,
თოვლის ფიფქივით დნება,
უმალვე გამოჩნდება,
თუ გრძნობა იბადება.
ხეს რომ ფოთლები სცვივა,
ხელის მტევნები მტკივა.
თვალს ვერ ვუსწორებ ტოტებს
ცრემლები მცვივა, მცვივა.
მახსოვს, ჩემს საიდუმლოს
ცრემლმა ახადა ფარდა,
აბა ვინ გაბედავდა
ჩემი ცრემლების გარდა.

* * *

მე ამ გაზაფხულს
ვერ გავუგე
გაზაფხულობა,
ხალხს სცივა, ტანში
აჟრიალებს,
დაზაფრულია.
თუ გაზაფხული
სულს არ ათბობს,
გულს არ ახარებს,
აბა მითხარით,
რანაირი გაზაფხულია?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კულინარია კულინარია

## კომბოსტოს ღვეზელი

დაჭრილი კომბოსტო მოვათავსოთ ქვაბში, დავუმატოთ ცოტა რძე და ვშუშოთ მზადყოფნამდე. წვრილად დაჭრილი ხახვი ცხიმში მოვხრაკოთ, ავურიოთ კომბოსტოში, დავუმატოთ მაგრად მოხარშული დაჭრილი კვერცხი და მარილი.

ცომი მოვამზადოთ შემდეგნაირად: თასზე მოვათავსოთ კარაქი, ცილა, მარილი და მიქსერით კარგად ავთქვიფოთ. დავუმატოთ სოდაგარეული მაწონი, შევაზილოთ იმდენი ფქვილი, რომ ზომიერად რბილი ცომი მივიღოთ. ცომი დავდგათ თბილ ადგილას ნახევარი საათით, რომ ამოვიდეს.

ცომი გავყოთ ორ ნაწილად. ქვედა ფენაზე, რომელსაც ცხიმწასმულ, ფქვილმოყრილ ტაფაზე გავაბრტყელებთ, მოვათავსოთ კომბოსტოს ფარში, დავაფაროთ მეორე ფენა და გვერდები კარგად მოვუჭკრათ. დავდგათ ცომი 15 წუთით ღუმელში. შემდეგ ზემოდან მოვუსვათ კვერცხის გული, ჩავჩხვლიტოთ ჩანგლით ალაგ-ალაგ და გამოვაცხოთ.

მასალად საჭიროა: 1 კილოგრამი კომბოსტო, 250 გრამი რძე, 120 გრამი ცხიმი, 4 კვერცხი, 1 თავი ხახვი, მარილი გემოვნებით.

ცომისათვის: 200 გრამი კარაქი ან მარგარინი, 1 ქილა მაწონი, 2 კვერცხის ცილა, 1 ჩაის კოვზი სოდა, 1 1/2 ჩაის კოვზი მარილი.

## კომბოსტოს სალათა მაიონეზით

გახეხილი კომბოსტო ავსრისოთ მარილში. დავუმატოთ გახეხილი სტაფილო, მწვანე მუხუდო, წვრილად დაჭრილი მოხარშული კვერცხი. მოვასხათ მაიონეზი და კარგად ავურიოთ. მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში და კამა.

მასალად საჭიროა: 350 გრამი კომბოსტო, 100 გრამი მუხუდო, 50 გრამი სტაფილო, 100 გრამი მაიონეზი, 1 კვერცხი, მარილი, მწვანილი გემოვნებით.

## მოხარშული კომბოსტო ქათმით ბულგარულად

კომბოსტო წვრილად დავჭრათ და მოვაყაროთ მარილი. ქათამი დავჭრათ ნაჭრებად. ქვაბში მოვათავსოთ კომბოსტოს ნაწილი, ზემოდან დავაწყოთ ქათმის ნაჭრები, დავფაროთ დარჩენილი კომბოსტოთი. დავუმატოთ დაჭრილი პამიდორი, კარაქი, ცოტა წყალი და ვშუშოთ ნელ ცეცხლზე მზადყოფნამდე. ხარშვის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე დავუმატოთ ოხრახუში და პილპილი.

მასალად საჭიროა: 1 კილოგრამი კომბოსტო, 300 გრამი ქათმის ხორცი, 200-225 გრამი ცხიმი, 3 პამიდორი, ოხრახუში, მარილი, პილპილი გემოვნებით.

## გოსტნეულის ტოლმა უხორცოდ

1 თავი კომბოსტო გავრეცხოთ. ამოვაჭრათ ხვიტი, ჩავუშვათ მდუღარე მარილწყალში და ვხარშოთ 5-10 წუთს. შემდეგ დავარჩიოთ ფურცელ-ფურცელ. თითოეულზე დავაწყოთ ფარში, შევახვიოთ, ამოვავლოთ ფქვილში და შევწვათ. შემდეგ ჩავაწყოთ ქვაბში, დავუმატოთ ბულიონი ან ცხელი წყალი, ტომატ-პასტა და ვხარშოთ მზადყოფნამდე. ზემოდან მოვასხათ არაჟანი.

ფარში: გახეხილი სტაფილო, დაჭრილი ხახვი და ოხრახუში მოვშუშოთ ცხიმში. დავუმატოთ ტომატ-პასტა, მარილი, პილპილი გემოვნებით, ცოტა წყალი, ვშუშოთ 15 წუთს. ბოლოს დავუმატოთ ნახევრადმოხარშული ბრინჯი და კარგად ავურიოთ.

მასალად საჭიროა: 400 გრამი სტაფილო, 3 თავი ხახვი, 75 გრამი ბრინჯი, 3 სუფრის კოვზი ცხიმი, 1 სუფრის კოვზი ტომატ-პასტა, 200 გრამი არაჟანი.

## № 3-4 გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 7. ბანოვანი. 8. კოწახური. 9. ჩალმა. 10. დარიე. 11. არქიელი. 15. როდინი. 17. კუპატი. 19. ბარცაკალი. 22. მაიორი. 23. მზიურა. 27. ბოქაული. 29. ალიზი. 30. გრაფი. 31. ტერაკოტა. 32. ავგაროზი.

შვეულად: 1. აბეჩხარი. 2. წნული. 3. ანგორა. 4. კოპალი. 5. კუპრი. 6. ხიმეტრია. 12. ინსტანცია. 13. ანაბარი. 14. კურიოზი. 16. დრაფი. 18. ამადუ. 20. ემიტანტი. 21. მალაიზია. 24. ბოგოტა. 25. ქლიავი. 26. ტიარა. 28. ხანოი.



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქტორის
ტელეფონი:
99-98-71

მასალები გადაეცა ასაწყობად 1. 04. 97 წ.
ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად
12. 06. 97 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. ტირაჟი
600. შეკვ. 0411.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გასართობი ამბები



ჯეიმს გორდონ ბენეტი — „ნიუ-იორკ ჰერალდის“ მეპატრონე და მთავარი რედაქტორი, ერთ თავყრილობაზე ახლო მეგობრებს უმტკიცებდა, რომ ძალუძს დაარწმუნოს მკითხველი საზოგადოება ნებისმიერ დაუჯერებელ ამბავში...

იმავე საღამოს შექეიფიანებულმა ჯეიმსმა საჯაროდ დადო ნიძლავი, რომ მეორე დღეს ნიუ-იორკის მრავალმილიონიანი მოსახლეობა სახლებში იქნებოდა გამოკეტილი და გარეთ ცხვირის გამოყოფას მხოლოდ ერთეულები გაბედავდნენ.

მეორე დღეს „ჰერალდის“ პირველსავე გვერდზე დიდი წითელი შრიფტით აწყობილი იყო შემდეგი განცხადება:

„სიკვდილის როკვა! ქალაქის ზოოლოგიური ბაღიდან გაქცეული მხეცები ნიუ-იორკის ქუჩებში სისხლიან ღრეობებს აწყობენ!“

მართლაც, იმ დღეს ქალაქში ცხოვრება ჩაკვდა. ყველანი საგულდაგულოდ გადარაზულ სახლებში ისხდნენ, არ მუშაობდა არც ერთი დაწესებულება, რაღა თქმა უნდა, მშობლებმა ბავშვები სკოლებსა და კოლეჯებში არ გაუშვეს. დამფრთხალ ხალხს მეზობლის ფინიის ყეფა ლომის ბრდღვინვად ეჩვენებოდა, ხოლო პოლიციის მანქანის სირენის ხმა — დამშეული აფთრების კივილად.

ბენეტმა მოიგო ნიძლავი, თუმცა, როგორც კი სინამდვილე გაცხადდა, სასამართლოს და დიდ ჯარიმას ვერ გადაურჩა.

* * *

1924 წლის 12 ივნისს ილინოისის შტატის რკინიგზაზე განგსტერებმა საფოსტო მატარებელი გაძარცვეს. ნადავლის ღირებულება 3 მილიონი დოლარი იყო.

მძარცველებს კვალში ჩაუყენეს ფედერალური ბიუროს საუკეთესო დეტექტივები, უილიამ ფეიგის ხელმძღვანელობით. იგი შეერთებულ შტატებში ანალოგიურ დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლებოდა.

საქმე მეტისმეტად რთული აღმოჩნდა: არ იყვნენ მოწმეები, არც სამხილი მასალის მოპოვება მოხერხდა. გამოძიება ჩიხში მოექცა და წლობით გაჭიანურება არ ასცდებოდა, რომ უეცრად ყველაფერს ნათელი არ მოჰფენოდა.

საფოსტო მატარებლის მძარცველთა ბანდის მეთაური და ხელმძღვანელი აღმოჩნდა... უილიამ ფეიგი, რომელიც მიტოვებულმა საყვარელმა ეჭვიანობის გამო დაასმინა.

* * *

ყოფილი რეციდივისტის შეგონებიდან:

„არიან კიდევ გულუბრყვილო ადამიანები, რომლებიც ჩვენს დაშინებას ბინაში დატოვებული სინათლით ცდილობენ. პროფესიონალები ასეთ ანკესზე არ ეგებიან.

მაგალითად, როდესაც მე ბინაში სინათლეს შევნიშნავდი, აბსოლუტურად მშვიდად ვრეკავდი ზარს, თუ კარს გამიღებდნენ, თავს მოვიმთვრალებდი და ბოდიშს შუბლზე ხელის მირტყმით ვიხდიდი, სადარბაზო ან სართული შემეშალა-თქო.

თუ კარს არავინ გამიღებდა, სამი წუთის შემდეგ უკვე ბინაში ვმუშაობდი.

ერთადერთი ადგილი, სადაც ჭკვიანმა კაცმა სინათლე უნდა დატოვოს, სანიტარული კვანძია.

სააბაზანოებში ყოველთვის არის პატარა სარკმელი, რომელიც გარეთ მყოფ ქურდს არაფერში შეეშლება. ეს ყველაზე საშიში სინათლეა და ბინაში შესვლას არც ერთი პროფესიონალი ქურდი არ გაბედავს... დარეკავ თუ არა, უკვე მნიშვნელობა არა აქვს... ტიტველი კაცი მაინც არ გამოგეგებება კარის გასაღებად“.

* * *

მდიდარმა ამერიკელმა კოლექციონერმა იტალიაში ზღაპრულ თანხად შეიძინა აღორძინების ეპოქის უცნობი მხატვრის ნახატი. მისი პირადი ექსპერტის აზრით და მტკიცებით, ეს ფერწერული ტილო ფასდაუდებელი ღირებულებისა იყო.

საზღვარზე შედევრის გადატანის დიდი გადასახადიდან თავი რომ დაეძვრინა, კოლექციონერმა იგი „გადალება“, ანუ საკუთარ ექსპერტს ზედ ჰყეტელა, არაფრის გამომხატველი პეიზაჟი დაახატვინა, რომლის ჩამოცლაც ნიუ-იორკში ჩასვლისთანავე ცნობილ რესტავრატორს დაავალა.

რამდენიმე დღის შემდეგ მილიონერმა კოლექციონერმა ასეთი შინაარსის წერილი მიიღო:

„პეიზაჟი გადავფხიკე, ძველი „შედევრიც“ გადავაცილე, ახლა მუსოლინის პორტრეტის წაშლასაც ვამთავრებ... შემატყობინეთ, როდის შევჩერდე?!“

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში, კოსტავას ქ. № 14, V სართული.

ინდექსი 761
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცეკვა, სიმღერა, მხატვრული კითხვა — აი, რითია გამორჩეული თბილისის 163-ე საშუალო სკოლის მეხუთე კლასის ფრიადოსანი მოსწავლე მარეხ გოგრიჭიანი.

იგი ანსამბლ „ვაზის" სოლისტია, რომლის ხელმძღვანელები არიან ნინო ტურიაშვილი და რომეო ტატიშვილი.

მარეხი ცეკვავს „ქართულს", „მუხამბაზს", „აჭარულს", სწავლობს „ჯეირანს" და მალე ამ რეპერტუარით წარსდგება პოლონელი მაყურებლის წინაშე ანსამბლის სხვა წევრებთან ერთად.

ვ. გენგიურის ფოტო.

ფასი 1 ლარი